საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 18 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი დღის თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ქალაქში 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15×2) 200 მანეთი. [illegible] განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესასვლელი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 160 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 160

## საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესასვლელი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ტრმად დამწუხრებულნი ჭირისუფალნი ვაჟი მარკოზ ყარამანის ძე ანთიძე მეუღლით, ქალიშვილი ნასტია ყარამანის ასული ჩხენკელისა, სიძე ნიკოლოზ ჩხენკელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი მამის გარდაცვალებას

**ყარამან ანთიძის**

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში კვირას 18 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ივნოვის ქუჩა, სახლი გოგოლაშვილისა. (2333 2—2)

მწუხარებაში მყოფნი დედ-მამა ოლღა ბესარიონის ასული და დიმიტრი ნიკოლოზის ძე, მამიდა ოსანა ნიკოლოზის ასული, ძმა გრიგოლი დიმიტრის ძე და დები თინა და ლიდა ჭანიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 18 ივლისს, დილის 10 საათზე ანჩხატის ეკლესიაში (ქ. ხონის უბანი) გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ ხონის საოსტატო სემინარიის მე-2 კლასის მოწაფის

**იაკინთე დიმიტრის ძე ჭანიშვილის.**

(2347—1—1)

მწუხარებაში მყოფნი დედა პელაგია, მამა ერასტო, ძმები: ბონდო და ალიოშა, და ბაბილინა და მამიდა პირო—ბესელიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 20 ივლისს დილით სამშაბათს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის და უდროვოთ გარდაცვალებულის პორუჩიკის

**კონსტანტინე (კოლია) ერასტოს ძე ბესელიას**

სულის მოსახსენებლათ ს. ნოსირში წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (2348—1—1)

დიომიდე (კუკუ) ივანეს ძე ქუჩულორია დებით: ანა და ფედოსია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი დის მსგავს, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე 14 წლის

**თამარა კირილეს ასულ ქუჩულორიას**

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათიდან საკუთარ ბინაში ფოთის ქ. № 6. დაკრძალვა 21 ივლისს დიდუბის ეკლესიაში, დილით ოთხშაბათს. (2350—2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები კირილე და ანეტა ქუჩულორიები შვილებით: ელიკა, ნინა, მიშა და ნატაშა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ მიხეილის საავათმყოფოში საყვარელი 14 წლის

**თ ა მ ა რ ა ს**

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათიდან საკუთარ ბინაში ფოთის ქ. № 6. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიაში 21 ივლისს დილით ოთხშაბათს. (2350—2—1)

დამწუხრებულნი და ეკატერინე დავითის ასული ქადიეშვილისა, დის შვილი ელენე ივანეს ასული წულაძისა მეუღლით გერასიმე, და შვილები: თამარა, ვალოდია და ჟენია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს 18 ივლისს, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფას და დაუვიწყარ

**ილიკო დავითის ძე მამულაშვილის**

სულის მოსახსენებლათ. დასაწყისი 12 საათზედ. (ნ. 1—1)

## ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს მიმდინარე წლის 19 ივლისს [illegible]

**ყ რ ი ლ ო ბ ა ს**

განსახილველი საკითხები: 1) [illegible] 2) 1920 წლის [illegible] 3) [illegible] 4) [illegible] 5) [illegible] 6) [illegible] ... დილის 10 საათზე [illegible]

ერობის გამგეობა. (6, 4—3)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible] 200.000 [illegible] (6. 3—3)

## ფრანგული ლიცეი თფილისში

[illegible] bas scinces [illegible] 1920 წ. [illegible] (2118—4—4)

**მეორე ქართული კლუბი**

პლეხანოვის პროსპ. № 129.

კვირას, 18 ივლისს, [illegible]

**კლუბის წევრთა საგანგებო კრება**

[illegible] 11 საათზე. (ნ. 1—1)

**მეორე ქართული კლუბი**

(პლეხანოვის პროსპ. № 129).

კვირას, 18 ივლისს — კ ლ უ ბ შ ი — კვირას, 18 ივლისს

## საოჯახო სალამო-კონცერტი

გამოჩენილ მომღერალ, პარიზის დიდი ოპერის არტისტის [illegible] მონაწილეობით. [illegible] დასაწყისი საღამოს 9 საათ. [illegible] (ნ. 1—1)

## თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გ ა მ გ ე ო ბ ა

აცხადებს, რომ წიგნთ-საცავისთვის დროებით

### საჭირონი არიან

# მოსამსახურეები,

[illegible] 25-ამდე [illegible]

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა. (2341—1—1)

## თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თხოვნები მიიღება ყველა ფაკულტეტზე (სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამედიცინო)

**20 ივლისიდან 1 ენკენისთვემდე.**

[illegible] 1919—1920 [illegible] 200 მანეთი [illegible] 15 [illegible]

თფ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამგეობა. (2342—1—1)

## საქართველოს სახელმწიფო ბანკი

**გაიხსნება 24 ამ თვის**

თხოვნები კრედიტის გახსნის შესახებ მიიღებიან ამავე თვის 21-დან.

ბანკის მმართველი იას. ლორთქიფანიძე. (2351—1—1)

ე ქ ი მ ი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხერხეული**

იღებს სენებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

## ბიუჯეტი

დამფუძნებელი კრება შეუდგა ბიუჯეტის განხილვას. ეს პირველი ბიუჯეტია საქართველოს რესპუბლიკისა და როგორც დამფუძნებელი კრება, ისე მთელი საქართველოს დემოკრატია მთელი თავისი ყურადღებით უნდა მოეკიდოს მას. ბიუჯეტი—ეს არის სარკე მთელი პოლიტიკისა, რომელსაც სახელმწიფო აწარმოებს. მაჩვენე, როგორია შენი ბიუჯეტი და მე გეტყვი, როგორია შენი წესწყობილება,—შეიძლება ვუთხრათ ჩვენ სახელმწიფოს.

სხვადასხვა დაუძლეველი მიზეზების გამო პირველი ბიუჯეტის განხილვა დიდის დაგვიანებით ხდება: 1919—1920 წლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს post factum იმ დროს როდესაც ნავარაუდევი თანხები უკვე დიდი ხანია დახარჯულია

ბიუჯეტის დაგვიანებას ის შედეგი მოჰყვა, რომ ნავარაუდევმა ხარჯებმა ბონების კურსის დაცემის და ამით გამოწვეული საქონლის სიძვირის გამო ძლიერ აიწია და ის თანხები, რომელიც გათვალისწინებული იყო ერთი წლის წინ, დღეს სრულებით აღარ ვარგა. ამ ფაქტის გამო ზოგიერთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რაკი ბიუჯეტის ფიქსაცია, რაიმე ჩარჩოებში მოქცევა, შეუძლებელია, მაშ ისა სჯობია, რომ სახელმწიფო სრულიად უბიუჯეტოთ ცხოვრობდესო. მაგრამ ეს აზრი სრულიად შეუწყნარებელია. ბიუჯეტის დროზე განხილვა დღეს თითქმის ევროპის არც ერთ **სახელმწიფოში არ ხდება**, ვერ ხერხდება იქ ვერც ბიუჯეტის ფიქსაცია. მაგრამ იქ მაინც ბიუჯეტზე უარი არავის უთქვამს. მთავარი მნიშვნელობა ბიუჯეტში შემოსავალ-გასავლის რაოდენობას კი არ აქვს, არამედ იმ **გეგმას**, რომელზედაც არის აგებული სახელმწიფოს მეურნეობა, ის პროცენტული ფარდობა (отношеніе), რომელიც დაცულია სხვადასხვა დარგის შემოსავალ-გასავალში, ეს ფარდობა ერთია რეაქციონულ სახელმწიფოში და სულ სხვაა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ბონების კურსის დაცემა ძლიერ ხელს უშლის ბიუჯეტს, მაგრამ ეს არ არის ისეთი დაბრკოლება, რომ ამის გამო ჩვენ ბიუჯეტის საჭიროება უარვყოთ ბონების კურსის დაცემა ხარჯებს ნომინალურათ ადიდებს, მაგრამ ხარჯების გადიდებასთან ერთად უნდა ზომები იყოს მიღებული შემოსავლის სათანადოთ გასადიდებლათაც; ხოლო როგორც ხარჯების, ის შემოსავლის გადიდება უნდა ხდებოდეს ისე, რომ არ დაირღვეს სახელმწიფოს საფინანსო-სამეურნეო გეგმა, რომელიც გამოხატულებაა სახელმწიფოს მთელი პოლიტიკისა.

შევხედოთ ამ გეგმის მხრივ ჩვენი რესპუბლიკის პირველი ბიუჯეტის პროექტს. ხალხის ცხოვრების რომელ დარგებზე უფრო მეტს ხარჯავს ჩვენი სახელმწიფო? პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ ჩვენი ბიუჯეტი ბურჟუაზიული სახელმწიფოების ჩვეულებრივ ბიუჯეტს წააგავს და მისგან არ განსხვავდება: აქაც პირველი ალაგი სამხედრო ხარჯებს უჭირავთ და მაშასადამე, ხალხის ოფლით მონაგარი იხარჯება იმისთანა რამეზე, რაც ხალხს არავითარი სარგებლობის სახით აღარ უბრუნდება. მაგრამ ცხადია, რომ სამხედრო ხარჯებს აქვთ თავისი გასამართლებელი საბუთები. უმთავრესი მათგანი ის არის, რომ მტრების გამუდმებული შემოსევა და მათგან თავდაცვის საჭიროება აუცილებელი პირობა იყო ყოველი საქმიანობისა. სამწუხაროა, რომ ამ საქმეზე ახე ბევრი 27% მთელი ბიუჯეტისა იხარჯება, მაგრამ ამას უნდა შევურიგდეთ, როგორც აუცილებლობას.

მიუხედავათ ამისა ჩვენი ბიუჯეტი ძლიერ განსხვავდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩვეულებრივი ბიუჯეტისაგან. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს რომ ჩვენი სიხელმწიფო ცდილობს თავისი შემოსავალი დახარჯოს იმისთანა საქმეებზე, რომლებიც მუდმივს რასმე აძლევენ ხალხს, აძლიერებენ და ანოყიერებენ მის შრომას დი მაღალ კულტურულ საფეხურზე აჰყავთ საზოგადოება. მეორე ადგილი, სამხედრო სამინისტროს შემდეგ უჭირავს გზათა სამინისტროს, მაშასადამე სახელმწიფოს შემოსავლის დიდი ნაწილი მოხმარებია დანგრეული რკინის გზის აღდგენას. შემდეგი ადგილი დათმობილი აქვს ვაჭრობა-მრეწველობას. ამას მოსდევს სახალხო განათლება, რომელიც, როგორც, ვიცით რუსეთის ბიუჯეტში თითქმის უკანასკნელ ადგილზე იყო მიგდებული. რომ ერთად მოვუყაროთ თავი ყველა იმ ხარჯებს, რომლებიც **საამშენებლო** (производительный) და საკულტურო ხასიათის საქმეებს ხმარდება, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ საქმეებს ჩვენს ბიუჯეტში ნახევარზე მეტი ყურადღება აქვს მიქცეული.

ასეთსავე შთაბეჭდილებას მივიღებთ შემოსავლის განხილვისაგან. მართალია, ის კრიზისი, რომელსაც მთელი კაცობრიობა განიცდის, შეუძლებლად არ ხდის გადასახადის სისტემის ისეთი დემოკრატიზაცია მოვახდინოთ, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პრინციპები; მართალია ისიც, რომ არა-პირდაპირ გადასახადს ჩვენს შემოსავალში დიდა ალაგი უჭირავს, მაგრამ მართალია ისიც, რომ ამ გადასახადის გაუქმება ჯერ-ჯერობით ევროპის ვერც ერთ სახელმწიფოში ვერ მოხერხებულა; მართალია ისიც, რომ, პირიქით, არა-პირდაპირი გადასახადის რაოდენობამ მსოფლიო კრიზისის გამო თითქმის ყველგან აიწია და ამ გარემოებას თითქმის ყველა სოციალისტური პარტიები უკვე ურიგდებიან.

მაგრამ ჩვენი შემოსავლის სისტემაში ის არის, რომ ყველაზე დიდი ნაწილი (747 მილიონი) შემოსულია „სახელმწიფო ხაზინის ქონებიდან და თანხებიდან“.

მაშასადამე ბიუჯეტის პროექტი აშკარათ გვიჩვენებს იმ ტენდენციას, რომელიც სარჩულად უდევს ჩვენი სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკას.

შემოსავლის წყაროდ, რაც შეიძლება მეტ წილად, უნდა გახდეს სახელმწიფოებრივი წარმოება. სახელმწიფოს თანხების რაც შეიძლება მეტი ნაწილი უნდა იხარჯებოდეს აღმშენებლობით შემოქმედებით და კულტურულ საქმეებზე.

## საბჭოთა რუსეთი

V.

**კაპიტალიზმი და ბურჟუაზია.**

მეოთხე წერილიდან ჩვენ დავინახეთ, თუ რა ძნელი აღმოჩნდა ბუხარინის შეთქმით კომუნისტური პროგრამის შემუშავება. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. აქ საკმარისი არ იყო ბურჟუაზიის გინება და სოციალ-დემოკრატიის გაბრიაბრუება. ეს გამოსადეგია შეიძლება მიტინგზე, მარა პროგრამის დასასაბუთებლათ, მისი თეორიული საფუძვლის გამოსანახავათ, რასაკვირველია, არ კმარა და აი ბალშევიკების ლიდერები დაიბნენ იმ სოციალურ-ეკონომიურ ტყეში, რომელიც დღევანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას ახასიათებს. ანალიზი ამ ურთიერთობის, რომლის დასკვნა უნდა ყოფილიყო ახალი პროგრამა, მეტად ძნელი გამოდგა. ყრილობას უნდა ეთქვა ახალი პროგრამით, თუ რა წყობილებაა, დღეს რუსეთში და არამც თუ ეთქვა—უნდა დაესაბუთებია ისე, რომ სხვებსაც დაეჯერა. ეს კი შეუძლებელი შეიქნა იმ გატაცებული კომუნისტებისათვის, რომლებსაც, ერთი დედაბერის არ იყუყვეს, ჰგონიათ, რომ მუგუზალით ზღვა, დასწვავენ.

რუსეთის კომუნისტების დიდი ნაწილი ჩვენი ხომ დიდი ხანია, დარწმუნებული არიან, და სხვებსაც სარწმუნებენ, რომ რუსეთი სოციალისტური რესპუბლიკაა, რომ იქ სოციალიზმი განხორციელდა. ამ ნიადაგზე გვებრძვიან ისინი და ვითარცა პირველხარისხოვანი სოციალისტები, ჩვენ წვრილ-ბურჟუობას გვწამებენ.

ჩვენ შეგვეძლო ბევრი საბუთი მოგვეყვანა ამ ყალბი აზრის და შეხედულების გასაბათილებლათ, მაგრამ ჩვენ აქაც ვარჩევთ თვითონ ისინი ვალაპარაკოთ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ სისტემა კაპიტალისტური მეურნეობის ომამდე არსებული წმინდა ფორმით დღეს თითქმის აღარსად არის. ომმა და მისმა შედეგებმა მისი საფუძველი თითქმის ყოველგან შეარყია, კაპიტალის პარპაშს ფრთები შეაკვეცა და ასე მისი ბატონობა საგონებელში ჩააგდო. ეს ხდება ყოველგან, მარა აქედან მის მოსპობამდე კიდევ დიდი მანძილია და აი როცა ბალშევიკებს ჰგონიათ, რომ მათ შესძლეს რუსეთში ამ ბატონობის სრული ლიკვიდაცია—ეს, რასაკვირველია, მათი ფანტაზიის ნაყოფია და რომ ეს ასეა—ამას ნათლათ ამტკიცებს ის კამათი, რომელიც ამ კითხვის გარეშე დატრიალდა.

ამ კითხვამ ისე, როგორც ნაციონალურმა საკითხმა, ორათ გაჰყო კომისია. ერთი მხრით ბუხარინი და მისი თანამოაზრენი, მეორეს მხრით—ლენინი და მისი მომხრენი. ბუხარინს კაპიტალიზმი უკვე დასამარებულათ მიაჩნია და აი ის აცხადებს: „ჩვენ გვაქვს ერთი პროგრამა, **პროგრამა მებრძოლი და ორგანიზაციული აღმშენებლობის კომუნისტური საზოგადოებისა.** (ხაზი ბუხარინისაა. გვერ. 35).

ამ რიგათ ბუხარინი უკვე კომუნისტური საზოგადოების შენებას უდგება, მარა უბედურება იმაშია, რომ ეს კომუნ. საზოგადოება არ შენდება და რუსეთი უბრუნდება კაპიტალისტური განვითარების იმ სტადიას, რომელიც მან თითქოს განვლო. და რომ ეს ასეა ამას კარგათ გრძნობენ ის კომუნისტები, რომლებიც სასტიკათ შეებრძოლენ ყრილობაზე და კომისიაში ბუხარინის დებულებებს, ან უკეთ, მის ფანტაზიას.

ოპონენტებთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ლენინს.

„როცა ბუხარინი ლაპარაკობდა—ამბობს ლენინი—რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის დანგრევის მთლიანი სურათის შექმნაო, ჩვენ ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ კომისიაში და უნდა განვაცხადო აქაც: აბა სცადეთ ასეთი სურათის შექნა და დარწმუნდებით, რომ ეს შეუძლებელია. ამხანაგმა ბუხარინმა სცადა ეს კომისიაში, მარა მერე თვითონვე უარჰყო. მე ვამტკიცებ, რომ ასეთი ცდა არასოდეს ნაყოფიერი არ იქნება, რადგან თვით მიზანი არაა სწორი. ჩვენ, რუსეთში, დღეს განვიცდით იმპერიალისტური ომის შედეგებს და პროლეტარიატის დიქტატურის დასაწყისს. **ამავე დროს რუსეთის მთელ რიგ ოლქებში ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის აღორძინებას და მისი პირველი სტადიის განვითარებას.** (ხაზი ჩვენია). და თუ დავსწერთ პროგრამას ისე, როგორც ეს უნდა ბუხარინს—ასეთი პროგრამა არ იქნება მართალი. ბუხარინის პროგრამა არ იქნება შეგუებული სინამდვილესთან, რადგან სწორეთ ამ სინამდვილეში არ არის მთლიანობა. პროგრამა შედგენილი სხვადასხვა ნაწილებისაგან არაა ლამაზი, რასაკვირველია. ამ სხვადასხვაობიდან, ამ სხვადასხვა მასალის შენობიდან ჩვენ დიდხანს კიდევ ვერ გამოვალთ. ხოლო როცა გამოვალთ,—მაშინ სხვა პროგრამას დავსწერთ. მაგრამ მაშინ ვიქნებით სოციალისტურ საზოგადოებაში.

**ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა აღდგენილია კაპიტალიზმის ელემენტარული ძირითადი მოვლენანი.** ავიღოთ თუ გინდ ტრანსპორტის დანგრევა, რომელსაც ჩვენ კარგათ, უკეთ, ასე მწვავეთ განვიცდით. ეს ხომ სხვა ქვეყნებშიაც არის, გამარჯვებულ ქვეყნებშიაც კი. რას ნიშნავს ტრანსპორტის დანგრევა? ეს ნიშნავს საქონლის წარმოების პირველყოფილ ფორმის დაბრუნებას. ჩვენ ვიცით რას ნიშნავს „მეშოჩნიკი“. ეს დღემდის უცნობი იყო უცხოელებისათვის. ამ კატეგორიას თქვენ ვერ მოათავსებთ პროლეტარიატის ვერავითარ დიქტატურის ქვეშ. რომ ეს გაიგოთ, უნდა დაუბრუნდეთ კაპიტალისტური საზოგადოების და საქონლის წარმოების დაბალ საფეხურებს. ამ მწარე სინამდვილიდან გამოხტომა ლამაზი და მთლიანი პროგრამის საშუალებით ნიშნავს რაღაც უჰაერო სივრცეში გადახტომას, ნიშნავს სინამდვილეს მოკლებულ პროგრამის დაწერას. **ის კაპიტალიზმი, რომელიც დახასიათებული იყო 1903 წ., არსებობს 1919 წელს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშიც.** (ხაზი ჩვენია). ასეთ კაპიტალიზმს თქვენ ნახავთ მაგ. სამარაში, ვიატკაში, რომლებიც არც ასე შორსაა მოსკოვიდან.

ამხ. ბუხარინს კარგათ ესმის, რომ პროგრამა უნდა იყოს კონკრეტიული. მარა ერთია ცოდნა, მეორე—მისი ფაქტიური გატარება. ბუხარინის კონკრეტობა—ეს ფინანსიური კაპიტალიზმის წიგნური დალაგებაა. სინამდვილეში კი ჩვენ სულ სხვადასხვა მოვლენებს ვხედავთ. თვითეულ გუბერნიაში მონოპოლიურ მრეწველობის გვერდით სწარმოებს თავისუფალი კონკურენცია. **იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის ზედნაშენი.** (ხაზი ლენინისაა). როცა ის ინგრევა—ჩვენ საქმე გვაქვს დანგრეულ სახურავთან და გამოაშკარავებულ საფუძველთან. მხოლოდ ამ სინამდვილის გაგებით შეიძლება გადავჭრათ თუ გინდ ისეთი საკითხი, როგორიცაა, ვთქვათ, ჩვენი დამოკიდებულება საშუალო გლეხობასთან. და მართლაც, საიდან გაჩნდა ეს საშუალო გლეხობა წმინდა იმპერიალისტური კაპიტალიზმის ეპოქაში? ის ხომ უბრალო კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც არ იყო. და თუ ჩვენ შევსცვლით ჩვენს დამოკიდებულებას საშუალო გლეხობასთან, მაშინ ინებეთ და აგვიხსენით თეორიულათ—საიდან გაჩნდა ის, ვინ არის ის. აი ის ანბანი კაპიტალიზმის, რომელიც უნდა ითქვას, რადგან ჩვენ ამ ანბანიდან ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ. ხელი ჩავიქნიოთ და ვსთქვათ: „რათ გვინდა ანბანი, როცა ფინანსიურ კაპიტალიზმს ვსწავლობთო“—ეს უმაღლესათ არა სერიოზული რამაა“. (გვერ. 42, 43, 44, 45).

როგორც ხედავთ, ლენინი ცდილობს, დააჯეროს თავისი მტაცებელი ამხანაგები, რომ კაპიტალიზმის დასაფლავება ჯერ კიდევ ნაადრევია. ცდილობს, დააბრუნოს ისინი ოცნების სამეფოდან და გააცნოს რუსეთის მწარე სინამდვილე სადაც, მისი თქმით, განაგრძობს არსებობას „ის, კაპიტალიზმი, რომელსაც ახასიათებდა 1903 წ. პროგამა“. კიდევ მეტი. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. დღეს კაპიტალიზმის ის უმა-

ღლესი ფორმაც კი აღარ არის, რომელიც ომამდე იყო.

ამ საკითხმა თავი იჩინა აგრეთვე სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე ყრილობაზე. აქ მემარცხენე კომუნისტებმა ისარგებლეს ამ კითხვით, პარტიის ხელმძღვანელებს მემარჯვენეობა უკიჟინეს და კაპიტალიზმის დაცვა დასწამეს. ლენინმა აქაც გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და შემდეგი სთქვა;

„ძირითადი ბრალდება ჩვენ წინააღმდეგ არის ის, რომ თითქოს გვემჩნევა მარჯვნივ დახრა, რომელიც ემუქრება რევოლიუციას იმით, რომ ის წარიმართება სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის გზით. ევოლიუცია სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისაკენ—აი ბოროტება, აი მტერი, რომელთან საბრძოლველათ ჩვენ გვეპატიჟებიან. და აი როცა ამას ვკითხულობ მემარცხენე კომუნისტების გაზეთებში, მე ვკითხულობ: რა ემართება ამ ხალხს, რომ წიგნების ნაფლეთებიდან სინამდვილეს ველარ არჩევენ? სინამდვილე კი ამბობს, რომ **სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი იქნებოდა ჩვენთვის ნაბიჯი წინ; რომ ჩვენ რუსეთში, ახლო ხანში სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს მივიღებდეთ—ეს იქნებოდა გამარჯვება.** (ხაზი ჩვენია).

ჩვენ გვაქვს ნიმუში სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისა გერმანიაში. ჩვენ ვიცით, რომ ის ჩვენზე უფრო მაღლა სდგას. თუ ცოტათი მაინც დავფიქრდებით იმაზე, თუ რა იქნებოდა საბჭოთა რუსეთისთვის უზრუნველყოფა ასეთი კაპიტალიზმის საფუძვლებისა—ყველა, თუ ის ჭკუაზე შეშლილი არაა და თავი წიგნების ჭეშმარიტების ნაკვთებათ არ აქვს გამოტანილი, იტყვის, რომ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი ჩვენთვის არის ხსნა. (ოქმი აღ. კომიტ. სხდომების გვერ. 214).

ლენინის ამ სიტყვიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ რუსეთს, არამც თუ სოციალიზმი, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმიც კი სანატრელი აქვს და ამაში ხედავს ის ხსნას და გამარჯვებას. ჩვენი კომუნისტები კი გვარწმუნებენ, რომ იქ კაპიტალიზმი მოისპო. დამყარდა სოციალიზმი და საქართველო კი კაპიტალიზმის კლანჭებში იკლანჭებაო. მართალია ის, რომ კაპიტალიზმი ჩვენაც გვაწევს კისერზე და ხელ-ფეხს გვიბორკავს, მარა მართალია ისიც, რომ მისი მოსპობა არც ისე ადვილია, როგორც ეს ჰაერში მოფრიალე კომუნისტებს ჰგონიათ. სურვილი ერთია, როგორც ლენინი ამბობს, სინამდვილე მეორე. ყოველ შემთხვევაში ლენინის ამ სიტყვების შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ სადავო აღარ იქნება ის, რომ რუსეთში არამც თუ მოისპო კაპიტალიზმი, პირიქით, მისი განვითარების უმაღლესი საფეხურიც კი სანატრელი შეიქნა.

ჩვენ ვიცით აქაური კომუნისტების ჯიუტობა. ისინი ერთხელ კიდევ დაიწყებენ რუსეთის სოციალიზმზე და ბურჟუაზიის დამხობაზე გრძელ მუსაიფს და მვლე არგუმენტის მოყვანას და რომ ამის ხალისი დაუკარგოთ, ერთხელ კიდევ უნდა ვალაპარაკოთ ლენინი.

„ყველა ქვეყნების დამახასიეთებელია ის, რომ მრავალ ადგილებში კაპიტალიზმი კიდევ ვითარდება. ეს მართალია მთელი აზიისათვის, ეს მართალია რუსეთის მთელი რიგი ნაწილებისათვის. აი ამხ. რიკოვი, რომელმაც მეურნეობის დარგში ფაქტები მეტად კარგათ იცის. იმან ჩვენ გვიამბო იმ ახალ ბურჟუაზიაზე, რომელიც ჩვენში არსებობს. ეს მართალია, ის ჩნდება არა მხოლოდ ჩვენი საბჭოების მოსამსახურეთა შორის—მცირედი აქაც არიან, რასაკვირველია, არამედ **ის ისახება და ვითარდება გლეხთა და კუსტარებს შორის** (ხაზი ჩვენია) და როგორ გინდათ თქვენ ამ ფაქტს გვერდი აუაროთ? თქვენ ამით თავს იქცევთ ან და არა საკმარისად მოფიქრებული წიგნი შემოგაქვთ სინამდვილეში, რაც ბევრათ უფრო რთულია. **ეს სინამდვილე გვიჩვენებს, რომ რუსეთში კაპიტალისტური საქონლის წარმოება ცოცხლობს, მოქმედებს, ვითარდება და ქმნის ბურჟუაზიას ისე, როგორც ყველა კაპიტალისტურ საზოგადოებაში.**

ჩვენს პროგრამაში თვითეული მუხლი არის ის, რაც უნდა იცოდეს, შეითვისოს და შეიგნოს თვითეულმა მშრომელმა. თუ მას არ ესმის რა არის კაპიტალიზმი, თუ მას ეს არ აქვს შეგნებული, რომ წვრილი გლეხობა და კუსტარული მეურნეობა აუცილებლათ და უთუოდ მუდამ წარმოშობს ამ კაპიტალიზმს,—თუ მას ეს არ ესმის—ათას ჯერ რომ გამოაცხადოს თავის თავი კომუნისტათ და უდიდეს რადიკალათ, კომუნიზმით რომ ამაყობდეს,—ასეთი კომუნიზმის ფასი გროშია.

სასაცილო იქნებოდა რომ ჩვენი რევოლიუცია რაღაც იდეალათ მოგვეჩვენებია ყველა ქვეყნებისათვის, წარმოგვედგინა, რომ მან მთელი რიგი გენიალური აღმოჩენანი [illegible] და მთელი გროვა სილიცისტერი ახალი რამ შემოიღო. მე ეს არავისგან არ გამიგონია და ვამტკიცებ ვერავისგან ვერც გავიგონებ. ჩვენ გვაქვს პრაქტიკული გამოცდილება კაპიტალიზმის დანგრევის პირველი ნაბიჯების განხორციელებისა და მეტი არაფერი. და თუ ჩვენ будем корчить из себя лягушку, пыхтѣть и надуваться, это будет посмешищем на весь мір, мы будем простые хвостуны“. (გვერდი 87—88—89).

აი ამ „ბაყაყებით“ და „ხვასტუნებით“ სავსეა კომუნისტების პარტია და მათ შორის აქაური კომ. პარტიაც.

ლენინის ამ სიტყვების შემდეგ, რომელიც ჩვენ მეტად შემოკლებით მოვიყვანეთ უადგილობის გამო, ყველასთვის აშკარაა, თუ რამდენათ მართალი არიან ჩვენი კომუნისტები, ვითომ რუსეთში კაპიტალიზმი მოისპო და დამყარდა საზოგადოებრივი მეურნეობაო. ლენინი პირდაპირ აცხადებს, რომ მათ აქვთ მხოლოთ „კაპიტალიზმის დანგრევის პირველი ნაბიჯების პრაქტიკული გამოცდილება და სხვა არაფერი“. მარა ჩვენ უკვე დავინახეთ წინა წერილებიდან, თუ რა ღირებულებისაა ეს „მათი „გამოცდილება“ და რა ძვირათ დაუჯდა ის რუსეთის ხალხს. ამიტომ, არ გვგონია რომ ამ „გამოცდილებით“ ჩვენმა ხალხმა ისარგებლოს.

ჩვენი კომუნისტები იმასაც ავრცელებენ, თითქოს საბჭოთა რუსეთში არავითარ გადასახადს მუშებს და გლეხებს არ ახდევინებენ და სხ. თუ რამდენათ მართალია ეს—ამას დავინახავთ შემდეგ წერილში.

**მეგობარი.**

## „კომუნისტის“ მკითხველებს

IX

**მარქსი და ენგელსი.**

**მარქსი:**

„პროგრამის პოლიტიკურ მოთხოვნებში არის მარტო ძველი, მთელი ქვეყნისთვის ცნობილი დემოკრატიული პირჯვრის წერა: საყოველთაო კენჭის ყრა, პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა, ხალხის უფლება, სახალხო მილიცია და სხვა. ეს უბრალო განმეორებაა ბურჟუაზიული დემოკრატიის მოთხოვნების, მშვიდობის და თავისუფლების ლიგის. ყველა ეს მოთხოვნები თავიდან ბოლომდის, რამდენათაც ამაზე არ ვიქონიებთ გადამეტებულ ფანტასტიურ წარმოდგენებს,—უკვე განხორციელებულია სინამდვილეში“.

მარქსს მხედველობაში ჰქონდა მარტო შვეიცარია და შეერთებული შტატები.

„საქართველოს კომუნისტი“ მალავს ამას და აქ წერტილს სვამს.

მარქსი ქვემოდ სწერს:

„არ უნდა დავიწყებოდათ პროგრამის შემდგენლებს თავი და თავი, სახელდობრ, ის გარემოება, რომ ყველა ამ საუცხოო მოთხოვნებს სარჩულად უდევს ე. წ. ხალხის თვითმპყრობელობის აღიარება და რომ მათი განხორციელება შეიძლება მხოლოდ დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. *)

**ენგელსი:**

—„თუ არის რამე უდაო, უდაოთ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი პოლიტიკურ მეფობას ხელში ჩაიგდებენ მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. ეს არის ნამდვილი სახე პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც დაგვანახვა უკვე საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ“. **)

ახლა ერთი რჩევა „კომუნისტს“. მარქსს და ენგელსს ნუ აწვალებს თავისი სიმახინჯის დასაფარავად. გაჩუმება ურჩევნია.

**ს. დევდარიანი.**

## დამფუძნებელი კრება

16 ივლისის სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონისა მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

**მელ. რუსიას** (თვითმარ. კომ.) და **დ. ონიაშვილის** (საბიუჯეტო-საფინან. კომ.) მოხსენებებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქალ. ფოთში მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტზე ხიდის გასაკეთებლად 14,700,000 მან. გადადებისა.

**ივ. გომართელის** მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილების საპროტეზო სახელოსნოს შტატისა და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**ზოგადი განხილვა სახელმწიფოს 1919—1920 წლის ბიუჯეტის პროექტისა.**

**გრ. გიორგაძე.** (საბიუჯეტო-საფინანსო კომისია). დღეს დამფუძნებელი კრება იხილავს სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვას, ბიუჯეტს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დამფუძნებელი კრება ამ დიად მნიშვნელოვან აქტის განხილვას იწყებს. და სწორედ ის, რომ ბიუჯეტს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, გვავალებს მიუდგომლათ ავწონ-დავწონოთ მთელი ის გეგმა, რომელიც წარმოდგენილი არის და ობიექტიურათ დავაფასოთ მთელი შინაური და საგარეო პოლიტიკა. ბიუჯეტი არის სახელმწიფოს მეურნეობის გეგმა, რომელიც დამყარებულია კანონმდებლობითი გზით, ბიუჯეტი არის დროებითი და ამ მხრივ წარმოდგენილი ბიუჯეტი დაგვიანებული არის, მაგრამ ამ დაგვიანებას ფრიად მნიშვნელოვანი გასამართლებელი საბუთები აქვს. ამ განვლილ წლის განმავლობაში გვიხდებოდა ბრძოლა, როგორც შინაურ მტრის წინააღმდეგ, აგრეთვე თავს ვიცავდით გარეშე მტრისაგან. და ეს არის უმთავრესი მიზეზი ბიუჯეტის დაგვიანებისა. ნორმალურ პირობებშიაც კი, იმ სახელმწიფოებში, სადაც სახელმწიფოებრივი აპარატი კარგა ხნის მოწყობილი არის, უგვიანდებათ ბიუჯეტის შედგენა. თვით ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ყოველთვის აგვიანებს ბიუჯეტს და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ მთავრობას მივეცით უფლება ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრული ფულის დახარჯვისა. ეს დებულება დამტკიცებულ უნდა იყოს, რომ მთავრობას უფლება ჰქონდეს ბიუჯეტის მიღებამდე ხარჯოს ფული წინასწარ, მხოლოდ ეს გატარებულ იქნას კანონმდებლობის გზით. როდესაც საფინანსო კომისია შეუდგა წარმოდგენილ ბიუჯეტის განხილვას, ერთი აშკარა გახდა ჩვენთვის. მრავალი ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები არ იყო შეტანილი ბიუჯეტში. ჩვენ შევეცადეთ მთლიანობა დაგვეცვა და ყოველი შემოსავალ გასავალი შეტანილი ყოფილიყო, მაგრამ დღევანდლამდე ერთი უწყების ხარჯთ-აღრიცხვა არ არის შეტანილი: ეს არის მომარაგების სამინისტრო ის ახალი დაწესებულება არის და დროზე ვერ მოასწრო ამ უწყებამ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, მაგრამ იქ უკვე სწარმოებს მუშაობა და სანამ დამფუძნებელი კრება ბიუჯეტს მუხლობრივათ განიხილავს, მომარაგების სამინისტრო. წარმოადგენს შტატებს. რაც შეეხება მომარაგების სამინისტროში წარმოებულ ოპერაციებს, ეს უკვე ხელთა გვაქვს. გარდა ამისა, მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ საფინანსო კომისიის მუშაობა ძნელდებოდა მით, რომ სანამ ის განიხილავდა ამა თუ იმ შტატს და აპირებდა მის დაწერას და დამზადებას საკანონმდებლო ორგანოსათვის, ცხოვრება სისწრაფით მიექანებოდა და ეს შტატები და მისი ხარჯები სულ სხვა სახეს იღებდენ. საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა შეჩერდეს ერთ დატაზე. ეს არის 1920 წ. პირველი იანვარი.

ის მომატება, რომელიც იყო პირველ იანვრამდე, მიღებულია მხედველობაში, პირველ იანვრის შემდეგ კი რა ცვლილება მოხდა, ეს არ არის შეტანილი ბიუჯეტში.

ერთი ნაწილი ბიუჯეტისა უკვე აღსრულებულია, მხოლოდ მეორე ნაწილს ბიუჯეტისას აქვს ნამდვილი ბიუჯეტის მნიშვნელობა. არ არის სასურველი, როდესაც ბიუჯეტს აღსრულებითი ხასიათი აქვს, მომავალში უნდა მაინც ვეცადოთ, რომ ბიუჯეტი წინასწარ დგებოდეს.

სხვა ქვეყნის ბიუჯეტებში არის განყოფილებები ჩვეულებრივი ხარჯები და არა-ჩვეულებრივი. როდესაც ამშენებლობითი მუშაობა სწარმოებს, ძნელია ხაზის გავლება და განსაზღვრა, რა არის ჩვეულებრივი ხარჯი და რა არის არა-ჩვეულებრივი, ეს მომავლის საქმეა და ჩვენ ბიუჯეტშიაც იქნება შემდეგში ასეთი განყოფილებები ამ ჟამად კი ეს არ არის.

შემდეგ ამისა მომხსენებელი ეხება იმ [illegible]

*) Критика Готской программы, პეტროგრადის მუშათა და წითელ რაზმელთა დეპუტ. საბჭოს გამოცემა, გვ. 32—33.

**) მომყავს როზა ლიუქსემბურგის წერილიდან—„Neue Zeit“, 1910 წ. 22 ივლისი.

[illegible] ტემაზე, რაც ნაკლებ ენერგიას მოითხოვს. შეიძლება ასეთი მომენტი მალე დაგვიდგეს და საბიუჯეტო კომისია ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ საზღვარ-გარეთ გავგზავნით მხედრებს სამილიციო სისტემის შესასწავლად. საფინანსო კომისიის სახელით ვაცხადებ, რომ ის თანხა, რომელიც დაიხარჯა ჯარზე და გვარდიაზე, ნაყოფიერი გამოდგა: მიუხედავათ იმისა, რომ ბევრნი ცდილობდენ ჩვენ მხედრობაში დეზორგანიზაციის შეტანას, ეს მათ ვერ შესძლეს და ჩვენი ჯარი და გვარდია კვლავაც პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

(დასასრული იქნება)

## საბჭოთა რუსეთში

**რა არის წარმოების დაშლის მიზეზი?** კომუნისტებს „სოვეტსკი კავკაზში“ (№ 36) მოყვანილია პიატიგორსკის პროფესიონალურ კავშირის პლენუმის ანგარიში. განუხილავთ საკითხი წარმოების დაშლის შესახებ. გაზეთი სწერს: „რა უშლის ხელს წარმოების აღდგენას იმ სახით, როგორიც იყო ომამდე? და მოხსენებებისა და წარმოდგენილ ცნობების თანახმათ უპასუხებს:—„მრავალი მთავრობანობა. თერგის საოლქო „სოვეარხოზი,“ „პრომბიურო“ ჩრდილო კავკასიისა, სამხედრო ძალა-უფლება, რომელსაც კიდევ დიდი გავლენა აქვს მეურნეობაზე,—ყველა ესენი ხშირათ იძლევიან ისეთ განკარგულებებს, რომლებიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ბიუროკრატია გვჭამს, ცოცხალ საქმეს კი ვერ ვხედავთ. საოლქო სოვნარხოზში და სხვა მეურნეობის სახალხო ორგანიზაციებში გამრავლდა განყოფილებები, ქვეგანყოფილებები, სექციები, ბიუროები, რწმუნებულები, კანტროლიორები და სხვა. მრავალმთავრობიანობა არის ყველგან, პიატიგორსკში საოლქო სოვნარხოზში, გეორგიევსკში—კიდევ ცალკე არსებობს. თვითეული სოვნარხოზი მხოლოდ თავის კუთხით არის დაინტერესებული. გიორგიევსკი არ აძლევს მაგალითად პიატიგორსკს მუხის ქერქს ნისიათ. არმავირი არ აძლევს სხვა კუთხეებს ზეთს. ჩვენ შეიძლება დავრჩეთ უფეხსაცმელოთ, უზეთოთ. და ამავე დროს შეიძლება ყველა აულში გვყავ- [illegible]

ლიც პარასკევს გერმანიის დელეგაციას უნდა გადაეცეს. ტექსტში ნათქვამია: გერმანია ყოველ თვეში გადმოგვცემს 2 მილიონ ტონს ნახშირს შინაურ ბაზრის ფასის მიხედვით. 100 მარკა თითეული ტონიდან გადაიდება მუშათა სურსათისათვის. ზემო სილეზიაში ნახშირს თანასწორათ განაწილების საკითხი ცალკე იქნება განხილული. ბოლოს თუ 15 ნოემბრისთვის არ იქნა მოტანილი აგვისტოს, სექტემბრის და ნოემბრის 6 მილ. ტონი ნახშირი, მოკავშირეები რურის ოლქს დაიკავებენ. რაც შეეხება სხვა თხოვნას. გერმანიის წინადადებაში აღნიშნულს, რასაკვირველია, თავის თავად იგულისხმება, რომ იგი სრულიად უკუ გდებულ იქნა ურთიერთ შორის.

**პოლონეთის შტაბის ცნობა.**

ბალშევიკების ძლიერი ჯარი, რომელიც 3 ქვეითი პოლკისაგან და კავალერიის დიდი რიცხვისაგან შესდგება, მიხალიშკის აღების შემდეგ, პოლოცკის გზაზე შეტევას განაგრძობს. ვილნოს ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. სმორგონ-კრევნოს ხაზზე პოლონეთის ნაწილები ყოფილ გერმანიის ხაზების გასწვრივ ბალშევიკების იერიშებს იგერიებენ.... (დამახინჯებულია).. აღმოსავლეთ და პოლისიებში პოლონეთის ჯარი უკან იხევს. ბალშევიკები მათ არ ავიწროვებენ პრიპიატის სამხრეთით პოლონელებმა ბალშევიკური ნაწილები უკუ აგდეს. იმ დროს, როდესაც ბალშევიკურმა ჯარმა დუბნო აიღო და რაძივილოვისკენ გაემართა პოლონეთის მე-18 ქვეითა დივიზიამ, რომელიც ნიკიტიჩი-ობირკის ხაზზე იყო გაჩერებული დაიკავა ზაგორცეს სიმაგრეები და უკან დაიბრუნა დუბნო. ბალშევიკების ნაწილებმა უწესრიგოთ თავი მოიყარეს პოდგაიცისა და მლინოვის რაიონში, სადაც მათ პოლონელებმა აეროპლანებიდან ყუმბარები დაუშინეს. კრემანცის სამხრეთით პოლკოვინიკ შილინგის რაზმს იერიში მიქონდა ბალშევიკების კავალერიის წინააღმდეგ. ამ რაზმმა ბალშევიკები აიძულა უკან დაეხიათ. ბალშევიკებმა დაკარგეს 7 ზარბაზანი და მრავალი მიტრალიეზა. ჩრდილო-აღმოსავლეთით პოლოჩისკა-სატანოვის ხაზზე პოლონელებმა ბალშევიკების შეტევა მოიგერიეს.

## თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

**ბათომი.** ჩვენი ჯარები ზემო აჭარისაკენ გაემართენ. გორდერძის უღელტეხილზე ჩვენ ჯარებს პურ-მარილით შეხვდა დელეგაცია. დელეგაციის მეთაური, რომელმაც ჩვენ ჯარს სამშობლოს სიყვარული განუცხადა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი იყო. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ჯარებს აჭარის ახალგაზრდობის წარმომადგენლები შეეგებენ. დიდძალი დელეგაცია, რომელიც 160 კაცისაგან შესდგებოდა ჩვენ ჯარს შეხვდა თეთრ პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა: სალამი მშობელ საქართველოს ჯარებს, განთავისუფლებულ ზემო აჭარისაგან. დელეგატებმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომლებშიაც აღნიშნეს, რომ ჯარების შემოსვლა სავსებით ეგუება ხალხის სულიერ განწყობილებას, რომელსაც საბოლოდ უნდა გაინთავისუფლოს თავი სხვადასხვა ავანტაურისტებიდან და პროვაკატორებისაგან, რომლებითაც სავსეა აჭარა. დანისპირეულში ჩვენი ჯარების შესვლას ხალხი აღტაცებით შეხვდა. სახალხო გვარდიის შტაბს და სარდლობას დელეგაციამ პურ მარილი მიართვა და განუცხადა რომ ხალხის შეცდომები უნდა დავიწყებული იქნას, ვინაიდგან ხალხს ძვირად დაუჯდა ამ შეცდომების გამოსყიდვაო. ასე გაგრძელდა ხულომდე.

ხულოში ჩვენმა ჯარებმა დაღუპულ ამხანაგების საფლავები დაათვალიერეს. გამოკითხვებიდან გამოირკვა, რომ აჭარისტანში ბნელი პროვოკატორული ძალები ზოგიერთ ელემენტებს ფულს და იარაღს აწვდიდენ. ისინი აწარმოებდენ აგიტაციას საქართველოს წინააღმდეგ. პროვოკატორები არწმუნებდენ ხალხს, რომ საქართველოს ჯარების შესვლა აჭარისტანში გამოიწვევს შიმშილობასა და სიკვდილს და ამიტომ საჭიროა მათი აჭარისტანში შემოსვლის წინააღმდეგ გალაშქრებაო. მაგრამ ყველა გონიერი ელემენტი ასეთ აგიტატორებს ებრძოდა და მოითხოვდა იმავე ხალხის საკეთილდღეოთ აჭარისტანში საქართველოს ჯარების შეყვანას. ამ ჟამათ ბოროტ ელემენტების მოქმედება მოსპობილია.

**ვილნო.** 17 ივლ. „ჟურნალი დე-დება“ შემდეგ ცნობას ბეჭდავს: წითელ გაზეთს მოჰყავს საუბარი გენ. ბრუსილოვთან, რომელმაც განაცხადა: რუსეთს არ შეუძლია დაუშვას, რომ სახელმწიფო შეიქმნეს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, როგორც ამისაკენ ისწრაფის პოლონეთი. ბალშევიკების მიერ კიევის უკან დაბრუნებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მდგომარეობა პოლონეთის ფრონტზე კვლავ ფრიად მნიშვნელოვანია. პოლონეთის ძალები შემცირების მაგიერ ძლიერდება. ამას გარდა პოლონეთის ჯარს ტექნიკური მასალა უფრო მაღალი ღირსებისა აქვს, ვიდრე წითელ ჯარს.

## ახალი ამბები

**საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს გაზეთ „ახალ სხივთან“ და არავითარ პასუხისმგებლობას მის გამოცემაში არ კისრულობს. ცენ. კომიტ. პრეზიდიუმი.

✦ **შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის ხელის მოწერით ყველა სამაზრო ერობის თვითმართველობას და სამაზრო მილიციის უფროსებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა: ყველამ იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში მოუსავლობას. მოუსავლობა ამძიმებს ხალხის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რაც დიდ გავლენას ახდენს ხალხის მასაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საქმეზე. მოსავალი და სახელმწიფოს კულტურულ-ეკონომიური სიძლიერე მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაატაროს დამშვიდებულად ცხოვრებაში სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური ზომები, როდესაც მცხოვრებლები არ გრძნობენ დანაკლისს უპირველეს საჭიროების საგნებში და უპირველესად ყოვლისა პურში. 2 წლის განმავლობაში არ ყოფილა საქართველოში კარგი მოსავალი. წელს მოელიან კარგს მოსავალს, მაგრამ თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულ დანამდვილებითი ცნობებისა, გაჩენილან უპასუხისმგებლო პირები, რომელთაც განუზრახავთ ხორბლის წინასწარ შესყიდვა და საქართველოს საზღვრებიდან გატანა. ასეთ მოქმედებას შეუძლია კვლავ შექმნას რესპუბლიკაში სასურსათო კრიზისი. დაუშვებელი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს ან მის მთავრობას არ მიექცია ამისათვის ყურადღება, ის პირები, რომელნიც თავის მოქმედებით ძირს უთხრიან რესპუბლიკის და ხალხის კეთილდღეობას, სამარცხვინო სვეტებზე უნდა იქნან მიკრულნი. ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო ასეთ ბოროტ-მოქმედებას. გაცნობებთ რა ამას, გევალებათ სასტიკად ადევნოთ თვალყური, რომ არცერთი მარცვალი არ იქნეს გატანილი რესპუბლიკის საზღვრებიდან. ამის განსახორციელებლად თქვენ გაქვთ სასტიკი და ჩქარი ზომების მიღების საშუალება მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს და მის საზღვრებიდან ხორბლის გატანას. დამნაშავენი სწრაფად უნდა იქნენ მიცემული სამართალში. თქვენი მოქმედების შედეგი დაუყონებლივ აცნობეთ სამინისტროს“.

✦ **საბჭოთა წარმომადგენლების განცხადება.** საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ს. მ. კიროვმა სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების ქონებაზე პრეტენზიები განაცხადა. ეს საკითხი იმიტომ აღიძრა, რომ ბათომში გაგზავნილმა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო განყოფილების უფროსმა კანდელაკმა რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების გამგეს წინადადება მისცა 3 დღის განმავლობაში დაეცალა დ გაეწმინდა განყოფილების შენობა დ ბინა. ს. მ. კიროვმა განაცხადა, სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების ქონება რუსეთის საკუთრებას შეადგენსო, მაგრამ ფინანსთა სამინისტროში, რუსეთის წარმომადგენლის საბუთებს არ დაეთანხმა იმ მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფოს ბუნებრივ უფლებას ანხორციელებსო.

✦ **პოლონეთის წარმომადგენელი ადერბეიჯანში.** პოლონეთის წარმომადგენელის მოვალეობის აღმასრულებელმა კონსულმა ბიალობჟისკიმ საგარეო საქმეთა მინისტრი ინახულა და გადასცა მას პოლონეთის მთავრობის შუამდგომლობა, რომ საქართველომ მიიღოს თავისთავზე ადერბეიჯანში მყოფ პოლონელების ინტერესების დაცვა. ამასთავე ბიალობჟისკიმ პოლონეთის მთავრობის სახელით მადლობა განაცხადა იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინა პოლონელ მოქალაქეებს ბაქოში მყოფმა საქართველოს წარმომადგენლობამ.

✦ **მცხოვრებთა რეგისტრაცია.** კანონთა გადამსინჯავი კომისია საჩქაროდ შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მცხოვრებთა რეგისტრაციისათვის შემუშავებულ კანონ-პროექტის განხილვას.

✦ **სომხეთის ეროვნულ საბჭოს** ახალ ბაიაზეთიდან აჰყობინებენ: ახალ ბაიაზეთის მაზრაში თათარი მცხოვრებნი სომხების სოფლებს ეცემიან, მიდენიან საქონელს და ხალხს სძარცავენ. მდგომარეობა იმდენათ მწვავეა, რომ გლეხებს არ აქვთ საშუალება მუშაობის წარმოებისა.

✦ **საადგილ-მამულო რეფორმა.** სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ მიწათ-მოქმედების მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგინა პროექტი მაზრაში საფონდო მიწების შეფასებისა და დანაწილებისა. ამ პროექტის თანახმად მაზრაში გასანაწილებელია სახნავ-სათესი მიწა სივრცით 56,040 ქცევა. შეფასებულია ქცევა პირველი ხარისხისა 900 მ., მეორე—700 მ. და მესამე 500 მ. ამ შეფასების კვალობაზე ყველა საფონდო მიწებიდან ხაზინას უნდა შემოუვიდეს 46.965.218 მ. ეს პროექტი მიწათ-მოქმედების მინისტრმა დაამტკიცა.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი:** „გუშინდელ ახალ ამბავში მოთავსებულ ცნობას, ვითომ ეროვნული გალერეის დირექტორი მხატვარი დ. შევარდნაძე ათვალიერებდეს უცხოელთა ადგილობრივ ხელოვანთა კერძო გალერეებს იმ მიზნით, რომ სახელმწიფო სამხატვრო გალერეისათვის შეიძინოს და ჩამოართვას სურათები, არ შეეფერება სიმართლეს. მხატვარი დ. შავარდნაძე ამ მიზნით არსად ყოფილა და არც ფიქრობს ვინმეს რაიმე სურათი ჩამოართვას ეროვნული გალერეისათვის“.

✦ **სეირნობა.** კვირას, 18 ივლისს, ალექსანდრეს ბაღში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა, რომლის შემოსავალიც გადაიდება თფილისის სოციალურ დამხმარე საზოგადოების ფონდისთვის.

✦ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს უკანასკნელად ეგზავნება გაზეთები ხონს. კანტორა განათლება.

✦ **ახალი წიგნები.** ბათომის, აჭარის და მთლად სამუსლიმანო საქარ-

თველოს შემაერთების სამახსოვროთ, ბ. ზ. ჰიჰინაძე ბათომში ბეჭდავს შემდეგ ახალ წიგნებს: 1) რა ენით უნდა განათლდენ ქართველ მაჰმადიანთა ძენი; 2) ქართველი მაჰმადიანი ქალი და მრავალი ცოლიანობა მათში; 3) ცრუ მორწმუნება ქართველ მაჰმადიანისა და მათი ცხოვრების თარეში; 4) ფუხარა, ანუ ქართველ მაჰმადიანთ ღარიბ-ღატაკნი და მათი გაკითხვის საქმენი; 5) ქართველ მაჰმადიანთა სახალხო სკოლები და არაბული ან-ბანის შესწავლის სიძნელე; 6) საქარ. მოტრფიალე ქართველ მაჰმადიანი ხოჯები და მოლები; 7) ქართველ მაჰმადიანების დაკავშირება ისლამთან; 8) ოსმალეთის ყოფილი საქართველო; 9) ბათომის ოლქის სოფლები და ხალხის სტატისტიკური ცნობანი; 10) ქართველ მაჰმადიანთა კლასები, მუშები, ვაჭრები და მათი ალებ-მიცემა.

ყველა ეს წიგნები ეხება მხოლოდ ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებას, მათს განვლილ დროის ისტორიას, ეთნოგრაფიას და სხვა ასეთ კითხვებს. წიგნები გამოიცემა ბათომში.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ორშაბათს, 19 ივლისს, საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სხდომა. ბიუროს წევრებს სთხოვენ მობრძანდენ ნახევარი საათით ადრე.

— ორშაბათს, 19 ივლისს, საღამოს 7 ს. რეალურ სასწავლებლის შენობაში (სამოსწავლო შესახვ.) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც ინჟ. ს. აკენტიევი წაიკითხავს მოხსენებას დიაპოზიტივებით რუსულ ენაზე „Об обслѣдованіи Горійскаго землетрясенія“. მოხსენებას შეუძლიათ დაესწრონ არა წევრებიც.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ქარელი.** კვირას, 18 ივლისს, დრამატიული წრე „არმაზის“ მიერ წარმოდგენილ იქნება ჰიუგო ოჟიეტის დრამა „მიხაკი“ და მხიარული ვოდევილები.

# მდგომარეობა ოსმალეთში

**ბათომი.** (სპეც. კორ.) ტრაპიზონიდან შემდეგი დანამდვილებითი ცნობები არის მიღებული: ვინაიდან იქ საბერძნეთის და ინგლისის ჯარების გადმოსხმას მოელიან, ოსმალ მცხოვრებთა შორის დიდი პანიკა არის გამეფებული. ტრაპიზონში მყოფი საბერძნეთის წითელი ჯვარი ადგილობრივ ოსმალეთის მმართველ პირთა მიერ სამხედრო ტყვედ არის გამოცხადებული. ნავთსადგურში მოსულმა საფრანგეთის კრეისერმა კატეგორიულათ მოითხოვა წითელი ჯვრის დაუყონებლივ განთავისუფლება. ტყვეების მდგომარეობა გამოურკვეველია.

თანახმად ქემალფაშის ბრძანებისა ქრისტიანებს ეკრძალება შავი ზღვის იმ ნავთსადგურებში შესვლა, რომლებიც ქემალფაშის გავლენის სფეროში იმყოფება.

სამსუნის ოლქში ოსმალები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ქემალისტებად და ქემალის მოწინააღმდეგეებად. უკანასკნელნი ბერძნებს შეუთანხმდენ.

თანახმად ქემალის განკარგულებისა ქალ. სამსუნს 200 მილ. მან. კონტრიბუცია დაადვეს. მცხოვრებლებმა ფულის შეტანაზე უარი განაცხადეს. სულ 20.000 ლირა არის შეკრებილი. (სდს).

# ბათომი

— ფინანსთა სამინისტროს და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებმა ფინანსთა მინისტრის რწმუნებულის ა. ი. კანდელაკის მეთაურობით დაიწყეს მიღება სამინისტროს საქვემდებარო დაწესებულებისა.

— ინგლისის სარდლობამ 15 ივლისს ყველა მოხელესა და მოსამსახურეს ანგარიში გაუსწორა. მოსამსახურეების რეორგანიზაცია მოხდა. მთავრობის ყველა დაწესებულებებმა მუშაობა დაიწყო.

— გზათა დეპარტამენტის ინსპექტორმა ინჟ. გვარამაძემ და რესპუბლიკის ნავთსადგურთ-სამმართველოს უფროსმა ინჟ. მამაცაშვილმა ჩაიბარა ბათომის ნავთსადგური საწყობებითა და მოწყობილობებით. ნავთსადგურს ეტყობა გაუმჯობესება სანიტარული, ტეხნიკური და კომერციული მხრით. ამ დღეებში მოიწვევენ გემების მეპატრონეების, სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების, ბანკებისა და დაინტერესებულ პირთა თათბირს ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად პროგრამის გამოსამუშავებლად. ბათომის ნავთსადგურის უფროსათ დაინიშნა ინჟ. სპრინკველი.

— საბაჟო სამმართველო განაგრძობს საქონლის მიღებას და გაცემას. რადგან საწყობებში დიდძალი საქონელია, ამიტომ საქონლის გადასინჯვა არ დასრულებულა. ნატანებში საბაჟო გაუქმდა. ყველა საქონელი ბათომში და ბათომიდან დაუბრკოლებლივ ტარდება.

— საგანგებო კომისრის განკარგულებით დაარსდა საუწყებათაშორისო საბჭო, რომელიც ბინების განაწილების საქმეს მოაწესრიგებს. ინგლისელების წასვლის შემდეგ მრავალი შენობა განთავისუფლდა. საბინაო საბჭო ბინას აძლევს სამხედრო უწყებასაც.

15 ივლისს, საგანგებო კომისართან მოვიდნენ ბერძენ-ლტოლვილთა წარმომადგენლები და ვრცელი მოხსენება წარუდგინეს თავიანთი აუტანელი მდგომარეობის შესახებ. მოხსენბაში აღნიშნულია, რომ ბერძენი ლტოლვილები იმყოფებიან ბათომსა და მის მიდამოებში, რომ ისინი სოხუმისა და წალკის რაიონებიდან ოსმალეთისკენ მიდიოდნენ და შემთხვევით გზაში დარჩენ. ოსმალეთში წასვლა პოლიტიკურ მდგომარეობის გამო შეუძლებელია, ამიტომ ბერძენთა დელეგატები სთხოვენ კომისარს ნება დართოს მათ, რომ ისინი დაუბრუნდნენ ძველ ადგილებს, მით უმეტეს, რომ თავისი სოფლებიდან ისინი თავისივე ნებით წამოვიდნენ. საგანგებო კომისარმა სათანადო შუამდგომლობა აღძრა თავდაცვის საბჭოს წინაშე.

ინგლისელების ბათომიდან წასვლის გამო კანტროლს პასპორტებზე ახდენს საფრანგეთის სამხედრო მისია. სტამბოლში და სხ. ადგილებში მიმავალნი ვალდებული არიან იქ მივიდნენ წასასვლელ ვიზის ასაღებათ.

საგანგებო კომისრის ნებართვით მოკლე ხანში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი „ლაზისტანი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ლაზები და აგრეთვე ზოგიერთი ქართველებიც. გაზეთი გამოვა—ოსმალურსა და ქართულ ენებზე.

16 ივლისს, დილის 10 საათზე, ბათომში კონსტანტინოპოლიდან ინგლისის ესკადრის ადმირალი ხოპი ჩამოვიდა. ინგლისის საზღვაო სარდლობის წარმომადგენელს მიეგება საპატიო ყარაული პოლკ. გეგელაშვილის, განსაკუთრებულ კომისარის თანაშემწის გენ. მდივანის, გენ. ერისთავის და ინგლისში დანიშნულ საქართველოს წარმომადგენელის დ. ღამბაშიძის მეთაურობით. საპატიო ყარაულის ჩამოსვლის შემდეგ, ადმირალი ხოპი გაემგზავრა შტაბის ბინისკენ, სადაც გენ. მდივანს დიდ ხანს ესაუბრა. იმავე დროს სამ საათზე გენერალი მდივანი ერისთავის და ღამბაშიძესთან ერთად ადმირალ ხოპს სამხედრო გემზე ესტუმრა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ინგლისის მეზღვაურთა საპატიო ყარაული შეხვდა, რის შემდეგაც ადმირალმა ხოპმა სტუმრები საუზმეზე მიიწვია.

**ბათომი.** მიღებულია ცნობები, რომ კისკინ-ზადეს ბანდებს, რომელთა რიცხვი რამოდენიმე ასეულ კაცს უდრის, დაუტოვებიათ ოლქი და შავშეთში გადასულან.

# ლითონზე მომუშავეთა

**განახლებულ კავშირის გამგეობის პასუხად.**

როცა შეუგნებელი პიროვნება თავისი ქინიანობით შურს იძიებს, სამწუხაროა, გასაკვირველი კი არ არის; მაგრამ როცა რომელიმე კავშირის გამგეობა ამას სჩადის, არამც თუ სამწუხაროა, ეს პირდაპირ დანაშაულია.

განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობა სცდება, როცა ამბობს, ვითომც მუშებს ან. რამიშვილის ეშინოდეს. გადაჭრით ვამტკიცებ, რომ არც ერთი მუშა, თუ ის ქურდი და დამნაშავე არ არის, ჩემთან არ გრძნობს თავს უხერხულად და არც ცუდ განწყობილებაში ვართ ურთი-ერთ შორის!

თუ რამდენათ მართალია კავშირის გამგეობის ბრალდება, ამას დავინახავთ ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტებიდან.

მაღაზიასთან არსებობს საქონლის მოსაშენებელი „ზავოდი“. რამოდენიმე თვის უკან საქონლის მცველმა, ზოგიერთი მაღაზიაში მყოფი ელემენტების ჩაგონებით ერთი გოჭი დაკლა და ის მაღაზიის ეზოშივე შეიჭამა, რადგანაც გალავანს გარეთ არ გაუტანიათ, ვინაიდან ეზოს გვარდიელები იცავენ. მეორეხელ რომ მიზეზი ეშოვნა, მომვლელმა ურმებს ქვეშ შერეკა გოჭები და განზრახ ურემს ქვეშ მოაყოლა, რომ დაშავებულიყო დ შემდეგ დაკლა. ამის შემდეგ მე ის დავითხოვე, დაკლული გოჭრი ორმოში ჩავაგდებიე, რომ არავის მოეხმარა, თან ღირებულება გადავახდევინე, მაგრამ მუშა ხატისოვმა, რომელიც სიმინდის ქურდობისთვის შემდეგ დავითხოვე, გოჭი ამოიღო და მიითვისა ქურდულათ. ცხადია, ზოგიერთ ქურდებს და მათ თანამგრძნობთ ასეთი დათხოვნა არ ესიამოვნებოდათ. შემდეგ თითქმის ყოველ თვეში, მუშების გასინჯვის შემდეგ, რამოდენიმე ნაქურდალი საქონელით მიხდება ციხეში გავისტუმრო არამც თუ შეუგნებელი, ზოგი კომისიის წევრთაგანიც და ეს იმიტომ, რომ ნაწილს ამ მაღაზიაში მომუშავებისას ძვალრბილში აქვთ გამჯდარი ქურდულათ გატანა ყოველგვარი სანოვაგისა და ნივთებისა. ცხადია, ასეთი ელემენტები ჯალათათ მომნათლავენ, როგორც მე, ისე მათი სიტყვით რომ ვსთქვა, ჩემს დამქაშებსაც, მაგრამ უნდა გაეგო კავშირის გამგეობას ვინ არიან ეს დამქაშები? ესენი არიან ყველა ისინი, რომლებმაც ამოაშრეს ის წუმპე და აღმოფხვრეს ის ბოროტება, რომლიდანაც თავს იჩენდა მთელი ავლაბრის ნაძირალები, ქალაქის სპეკულიანტები და რასაც ეწირებოდა სახელმწიფო ინტერესები.

12 ივლისის შემთხვევა არ არის სწორათ ნაჩვენები კავშირის გამგეობის მიერ.

ნამდვილათ კი მოხდა შემდეგი: ფეხის ალაგში ჩავარდნილიყო გოჭი, იქვე მდგომ გამცემლიძის ყმაწვილს უთქვამს მეეზოვესთვის, რომ ამოეყვანა; როცა ის ცდილა ამოყვანას, შიგ ჩავარდნილა, მას მიშველებია რამოდენიმე მუშა, მაგრამ გაზის გავლენით გაგუდულან, მარტო მეეზოვე დაიხრჩვა, დანარჩენები—ზოგი უკვე მუშაობს, ზოგიც კარგათ არის ექიმების დახმარების შემდეგ. ამას დაამოწმებს ყველა მიუდგომელი—გამგეობაც და პიროვნებაც.

უკანასკნელათ უნდა აღვნიშნო ერთი უსამართლობა ზემოხსენებულ კავშირის გამგეობისა: ის ამბობს, რომ ვითომც ჩემი შიშით წყდებიან მუშები, როცა რაიმე შემთხვევაა. მე დავამტკიცებ, რომ რამოდენიმე კვირის უკან ერთ მუშას მუშაობის დროს დაეხოცა ორი საუკეთესო ცხენი, მაგრამ ვინაიდან მე ვიცოდი, რომ ეს არ მომხდარა მუშის მიზეზით არამც თუ დამისჯია ის, პირიქით, მივეცი საშუალება აერჩია კიდევ ცხენები და განეგრძო მუშაობა და არც ერთი სიტყვით ან საყვედურით არ მიმიმართავს. მხოლოდ ქურდებს და მატყუარებს სასტიკათ ვსთხოვ პასუხს და თუ მართლაც ხსენებული კავშირის გამგეობა დგას თავის სიმაღლეზე, ნუ თუ დასტური უნდა დასდოს ბოროტებათა ჩამდენს, რადგან მას მუშა ეწოდება!!

# ლექსები სავსე რვეულიდან

**1. ფარისეველი.**

[illegible]

**2. [illegible]**

[illegible]

**ვალერიან გაფრინდაშვილი.**

ზამთარი 1920

[illegible]

**მაღაზიის ზედამხედველი ან. რამიშვილი.**

# პროტესტის ავტორები

[illegible]

მეზე, რაც არ არის საპროტესტო და აწერიებენ ისეთებს, უმეტეს შემთხვევაში, რომელთაც არ იციან, რაშია საქმე.

ქალაქთა კავშირის სტამბაში ხელისმომწერთა დიდმა უმრავლესობამ ხათრით და შიშით მოაწერა ხელი (ზოგს ისიც კი ეგონა—ჯამაგირის მომატების მოთხოვნას ვაწერ ხელსო), მცირე-წლოვანი შეგირდებიც აიყოლია პროტესტის შემთხზველმა და დღეს ისინი აცხადებენ—შეცდომაში შეგვიყვანა ავტონომიურ კომისიის წევრმაო.

რაც შეეხება სხვა სტამბებში შეგროვილ საპროტესტო ხელის მოწერას, ცხადია, აქაც ასეთსავე გაუგებრობას აქვს ალაგი და ეს ჩქარა გამოაშკარავდება.'

უნდა ვთქვათ, რომ კომუნისტებს სტამბის მომუშავეთა შორის მეტად ცოტა ჰყავს მომხრე და თანამგრძნობი მუშები.

ეს ძველადგანვე ასეა და ასევე იქნება შემდეგშიაც. ჰყავთ მხოლოდ თითოოროლა მომხრე, უმეტესად არა ქართველობიდან. თუ რას წარმოადგენენ ისინი ზნეობრივად, ეს საკითხი მეტად საყურადღებოა.

ალშევსკის შემდეგ მე ვეხებოდი ერთ ქუთათურ ასოთ-ამწყობს, როგორც შავ ლაქიას, რომელიც აქტიურ კომუნისტობას იჩენდა ამ ბოლო დროს. ასეთები იყვნენ სხვებიც, რომლებიც ზოგი თითონ მოგვშორდა, ზოგი მოვაშორეს.

თითო-ოროლა ასეთი არა წმინდა სულები კიდევ არიან სტამბებში დარჩენილები და თუ მათ წინააღმდეგ ზომები არ მივიღეთ, ისე არ ხერხდება, რადგან ისინი გულს გადიან, იმუქრებიან და აშინებენ მუშებს—შემოვლენ წითელი არმიელები და გაჩვენებთ სეირსო! მე ვფიქრობ, ჩვენი შიში უნდა ჰქონდეთ ამ უზნეო ადამიანებს, და არა ჩვენ მათი, ჩვენ ვცხოვრობთ რესპუბლიკანურ საქართველოში და არა საბჭოთა ადერბეიჯანში.

ჩვენებურ კომუნისტებს სხვა ტიპის მომხრეებიც ჰყავთ —ფიზიკურად და სულიერად მახინჯები, რომელთა შორის ალსანიშნავია ასოთ-ამწყობი სადრაძე, რომლის მოწოდება მუშებისადმი ხშირად იბეჭდება „კომუნისტში“.

ბელოიან-ლასკუტოვ-სადრაძეები არიან, რომ მოღვაწეობენ ჩვენს მუშებში,

[illegible]

ახლა დავერიდებით. ეს მათ უნდა კარგად იცოდნენ.

**ასოთ-ამწყობი.**

# პროფეს. კავშირებში

**პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.**

16 ივლისს საღამოთი მუშათა სასახლეში შესდგა თფილისის პროფეს. კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც ამხ. ჩხენკელმა მოახსენა მეტყავეთა კავშირის საქმეთა და მოქმედების რევიზიის შედეგი. კამათის შემდეგ საბჭომ გაიზიარა მომხსენებელის აზრი, დაადასტურა სეკრეტარიატის გადაწყვეტილება და დაადგინა მეტყავეთა კავშირი გამორიცხოს საბჭოდან ამის ყველა შედეგებით ხსენებულ კავშირისთვის. ცნობილი და მიღებულ იქნეს საბჭოში ხსენებულ კავშირიდან გამოყოფილ მეტყავეთა ახალი კავშირი.

დასასრულ კრებამ სცნო და მიიღო ახლახან შემდგარი ჟურნალისტების კავშირი.

ამხ. ჩხენკელის მოხსენებას და სხდომის დაწვრილებით ანგარიშს მოვიყვანთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

# ს ა ღ ა მ ო

**დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ.**

სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის გვარდიელებიდან არა ერთი და ორი შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის განმტკიცებას და გამაგრებას, „წითელ ადერბეიჯანის“ ლაშქართან ბრძოლის დროს; მათ დაუმტკიცეს მტრებს, რომ არც ისე ადვილია საქართველოს საზღვრების გადმოლახვა, როგორც „წითლები“ ფიქრობდნენ, რომ საქართველოს საზღვრებს იცავს რევოლიუციონური ლაშქარი და ის დაიცავს მას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. დახოცილმა გვარდიელებმა მოიხადეს უდიდესი რევოლიუციონური მოვალეობა საქართველოს წინაშე, მათ ქება-დიდებით მოიხსენიებს მომავალი ისტორია. მაგრამ საქართველოს მოქალაქენიც ვალდებულნი არიან მოიხადონ თავიანთი მოქალაქობრივი მოვალეობა დახოცილთა ოჯახების წინაშე. ამ მიზნით სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის და საინჟინერო გუნდის კულტურულ-განმანათლებელი სექცია მართავს საღამოს ამავე ბათალიონში წითელ ხიდთან ბრძოლის დროს დახოცილ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ მეორე ქართულ კლუბში; დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. იმედია თფილისის საზოგადოება თავის ყურადღება არ მოაკლებს დახოცილთა ოჯახებს.

**გვარდიელი ე. ბროკიშვილი.**

# „ქართველი სომეხის“ წერილი

ვინმე „ქართველი სომეხი“ „ნორ-აშხატავორის“ № 79-ში, სათაურით: „ქართველ-სომხის ნააზრევი და მოგონებანი“, შემდეგს სწერს:

ქართველი სომხობა და მისი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი გარშემორტყმული არიან იმისთანა ტყვიის ატმოსფერით და უადგილო „გიბრძანებ“-ებით, რომ თვით გარეშე პირზედაც იმისთანა შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ეს ელემენტი და დაწესებულებანი კანონის გარეშე არიან გამოცხადებულნიო.

და მართლაც, რომელ არა-სომეხს არ ეძლევა უფლება ეთამაშოს სომხურ დაწესებულებათა ბედ-იღბალს ისე, როგორც თითონა სურს? რომელ სომეხს არ ესვრიან ქვებს და არ აშინებენ და როდის იყო, რომ ასეთი ალვირ-წახსნილობა პასუხისგებაში მიცემულიყოს. რომელ არა-პასუხისმგებელ „ცალკე პირების“ სომეხთა წინააღმდეგ ჩადენილი ხრიკები იქნა დასჯილი...

არც ერთი!.. და ამ შედეგს მწუხარებით ვაცხადებთ.

არავინ დაივიწყოს, რომ დღეს ქართველ სომხების ქართველთა მოყვარულების გულშიც არის ერთი ღრმა ბუზღუნი, და ყველა სომხის პირში გაისმის: „როდემდის“?

განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობა, „საქართველო ქართველებისთვის“ ისმინა სომეხმა თავის მეზობლისაგან. ამასთან ერთად „საშუალებანიც“ მიღებულ იქნა, რომ განეცალკევებინათ ქართველი სომხობა.

იმ დროს, როცა ქართველი სომეხი დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის აშენების ხანაში იმას ექნება თავისი როლი, თავისი ადგილი, მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი განცალკევებულ აქნა პირველ დღეებიდანვე.

მოხდა ნეიტრალიზაცია, მაგრამ გვეგონა, რომ სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ეს პროცესი წავიდოდა უფრო იდეური გზით.

და მართლაც, ყველა საკითხები თავის დაწყებითი ხანაშია. მხოლოდ არის სურვილი იდეალური, ბრწყინვალე პრინციპები, დასახულია ნათელი მომავალი, დაპირებანი, მაგრამ აი მესამე წელიწადია, რაც საქართველო განიცდის თავის იდეურ განცხრომის თვეს და ამ მოკლე ხანში, უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის ფონზე აშკარა ხდება მომწრელად ის ჭეშმარიტება, რომ საქართველო თანდათან იქცევა ბატონების და მორჩილების, პატრონების და ყმების ქვეყანად.

ჩვენ, ქართველ სომხებს ძალიან კარგათ გვესმის ჩვენი დაბადების ადგილის მთელი მომავალი და მოვალე ვართ, მანამ არ არის გვიან, მოვაგონოთ საქართველოს ბედ-იღბალის მმართველებს, რომ მათი პოლიტიკური კურსით სიარული სომხობის მიმართ აჩენს საქართველოში ერთი ტიპის მოქალაქეებს ბრჭყალებში.

ახლოდან შევხედოთ სინამდვილეს და შევეკითხოთ—განა არ ჩნდება ჩვენში ერთი ელემენტი, რომელსაც მისწრაფება აქვს გაბატონდეს მეორე, თითქმის თანასწორ ძალის ელემენტზე და არ ვარჯიშობს პირველ თვითნებობით ან ძალადობით მეორეს ფრთების მოჭრის. უფლების მოკლების სფეროში?.. და მერე ის მეთოდი, რომელსაც ხმარობს თავის მიზნის მისაღწევად? ჰო, მას უკვე აქვს წარსულში თავისი შავი ისტორია.

ცდა იყო სომხობა გამოცხადებულიყო „ანტი-ქართულათ“, „მთავრობის წინააღმდეგათ“ „საქართველოს მტრათ“, ამას მოჰყვა ეჭვები, დევნა, რომელიც ენერგიულათ საკმარისათ წინ წასწევდნენ საქმეს. ივიწყებდენ, რომ ყველაო. ეჭვი, უკეთუ ის დროზე არ იქნება გათვალისწინებული თანდათან იცვლებოდა რწმუნებათ და ალვირ-წახსნილი დევნა თანდათან ხდება დესპოტიურ ძალადობათ, ტირანიათ.

და ამ „დარწუნების“ და უხეში ძალის მოსასპობათ ჯერ-ჯერობით არაფერი კეთდება... რამდენი ძალ-ღონე დასჭირდება მომავალში, რომ ეგენი საბოლოოთ გამაგრდენ ადამიანის პსიქოლოგიაში და ძარღვებში.

ერთ დროს დაავიწყდათ ყველა ეს. დღეს ზიზღით ვწერთ, თუ როგორ ყველა ქართველი თავის მეზობელ სომეხში ჰხედავს თავის ქვეყნის და პირადი მტრის სახეს. როგორც ყველა სომეხი თავის მეზობელ ქართველებში ჰხედავს თავის მჩაგვრელს, თავის მდევნელ კულაკს.

სამწუხაროა ამაზე წერა, მაგრამ ეს სინამდვილეა.

უსამართლობა არ უნდა გამეფდეს საქართველოში!..

მაგრამ ვინ არის, რომ პირველ ხმას აღიმაღლებს ამისთვის? ბუნებრივათ იგი რომელიც ყველაზე მეტად იჭყლიტება ამ უსამართლობის სიმძიმის ქვეშ, ესე იგი, ქართველი სომხობა, ქართველი სომეხი—რევოლიუციონური მშრომელი ხალხი და იგი მოვალეა გააღვიძოს თავისი ქართველი ძმა...

მაგრამ როგორ? როცა იგი მოყვარეა თავის აწმყო მდგომარეობისა და არ ფიქრობს ხვალისთვის.

ეხლა კი ერთია გამოსავალი: ეცადოს რომ სომხებიდან საბოლოოდ არ გაჩნდეს „მოქალაქეთა“ ერთი ტიპი, რომელთაც ექნება მხოლოდ ერთი უფლება—სილის მიღებისა, ეს კი ლაგამს ამოსდებს კაპრიზებში ვარჯიშობის მომხრეთ.

უნდა ყველა საშუალებებით გავაგებინოთ, რომ სომხები საქართველოში ყმები არ არიან.

თავი დავანებოთ პირად განცდას, დავტოვოთ ის უყურადღებოთ. ჩვენ მოვალენი ვართ ყურადღება მივაქციოთ იმ ახალ „პოლიტიკას“, რომელიც დაწყებულია ამ ბოლო დროს და რომელიც უფრო რთულია და უკვე მოაქვს ნაყოფი.

აქამომდე დევნა მოდიოდა „რაღაც“ არა პასუხისმგებელ პირების, მილიციონერის, მთავრობის ამა თუ იმ აშენების ან წევრის მხრივ და მიმართული იყო „ცალკე სომხების“ წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბოლო დროს „უპასუხისმგებლო პირების“ როლს ასრულებენ დემოკრატიული დაწესებულებანი—ერობები და თავიანთი შხამი უკვე მიუმართავთ სომხურ კულტურულ დაწესებულებათა წინააღმდეგ.

ვაკის, ველისციხის, სიღნაღის სომხური სკოლები იკეტება არა „გამოუცდელ“ მოხელეთა ხრიკებით, არამედ—ერობათა განკარგულებებით.

და აქ, სომეხი მშრომელი ხალხი მოვალეა საჭირო სიფრთხილე გამოიჩინოს. რომ არაფრად ვართ ჩათვლილნი არა თუ მარტო თითო, ცალკე სომხები, არამედ—ჩვენი კულტურული დაწესებულება, ჩვენი ეროვნული საბჭო.

აქაა ქართული შოვინიზმი. ის გამოფენილია მთელი თავისი ძალებით,—თავისი მახეებით, თავისი ბრჭყალებით.

სოფელ დურნუკის სომხური სკოლა. ჩვენ საგანგებოთ ვიღებთ ამ სკოლას იმისთვის, რომ აშკარად ვუჩვენოთ ის „სამაგალითო“ ნაბიჯები და განწყობილებანი, რომლებიც აქვს სახელმწიფოებრივი მექანიზმის ყველაზე მეტ დემოკრატიულ დაწესებულებას სომხურ კულტურულ დაწესებულებათადმი.

დურნუკის სოფლის გარშემო პოტენციალ ძალით ჩნდება ყველა რიგის და ნაირის უსამართლობანი, „დაპირებანი“, ფანდები, კაპრიზი და ის მიუტევებელი ცხვირი, რომელიც აქვთ ერობებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სომეხ „მოქალაქეებისადმი“, მისი საჭიროებისადმი, მისი წმინდათა წმინდისა სკოლისადმი.

მოგითხრობთ ცოტა დაწვრილებით ამ „შემთხვევას“: სოფელ დურნუკში არსებობს ორი სკოლა: ერთი ინახება საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს მიერ, მეორე კი—ერობათა საშუალებებით.

ეროვნულ საბჭოს სკოლის საქმეები მიდის სინდისერად, ერობის სკოლა კი მუდამ დაკეტილია, მისი მოსწავლეობა გართულია კვერცხის და წუმწუმის გაყიდვით; ორივე სკოლებში არიან სომეხი შეგირდები, სოფელი სომხურია.

ერობამ გადასწყვიტა გააუმჯობესოს თავისი სკოლის მდგომარეობა... და გააუმჯობესა თავისებურად, ჩვეულებრივი „გიბრძანებ“-ის გზით. და აი ეს გზა:

შეიპყრეს ეროვნული საბჭოს სკოლის პედაგოგიური და ეკონომიური საბჭოს წევრები და გაუგზავნეს თფილისის გუბერნატორს. „ამათ პროპაგანდა გასწიეს ერობის სკოლის წინააღმდეგაო“. არ არის, მაშასადამე, ეროვნული საბჭოს სკოლა და პროპაგანდის საგანი იკეტება, რჩება ცუდი სკოლა, იმის კარებიც დაიკეტება სხვადასხვა საბაბებით და ასე „გაანათლებენ“, გაწრთვნიან სოფელ სომხის ბავშვებს.

საკითხავია: იყო პროპაგანდის საჭიროება, როცა სომეხი სოფელი თავის თვალით ჰხედავდა ორივე სკოლის კარგსა და ავს?

მაგრამ არა,—უნდა გაეჩინათ „კრამოლა“, „დაბეზღება“.

შუამდგომლობას უწევს საქართველოს საბჭო, ფაქტებს უდგენს, მოითხოვს სამართალს.

გუბერნატორი უშვებს დაპატიმრებულ „სმუტიანებს“, რომლებიც სოფელს უბრუნდებიან.

ერობა ფართოდ აღებს თვალებს. როგორ,—ნუ თუ ჩვენი მთავრობა ანგარიშში იღებს რაღაც ეროვნულ საბჭოებს და არ ფიქრობს ჩვენს პრესტიჟზე, და აი, ეს „პრესტიჟიც“ მაღლდება. ციხიდან გუშინ გამოშვებულებს ახლათ აპატიმრებენ და გზავნიან თფილისს, თფილისი კი „24 საათის განმავლობაში“ ასახლებს პრესტიჟის ამ მსხვერპლთ (4 არაფრათ აგდებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმდებობას ფაქტების მოთხოვნილ სასამართლოს.

ცხადია, არ არის საბჭოს სკოლა. არ არის აგრეთვე „კონკურენცია“.

სამართალი, ფაქტები, ეროვნული საბჭო? „ჰო, ესენი „არ არიან“ და არ უნდა იყვნენ; ესენი „სახიფათო არიან“ საქართველოს დამოუკიდებლობის „პოლიტიკისთვის“.

ამ ჯერაც გადაასახლეს საზღვარ-გარეთ 4 სული. არაფერია. კიდევ გაგზავნიან, როგორც გაუგზავნიათ ასობით, მაგრამ დაბოლოს საკითხი იბადება—როდემდე?

როდემდე? იმ დრომდე, სანამ ჩვენი „პატრონები“ შეიგნებდნენ ამგვარი თამაშის უაზრობას... ჩვენი რევოლიუციონური სინდისი გვიკარნახებს მოვაგონოთ ეს დაუსრულებელი ამბები ამ „ეპიზოდების“ ავტორებს.

„კმარა. სახიფათოა თქვენი თამაში, გრცხვენოდეთ თქვენი სოციალისტური წარსულისა, მოერიდეთ ასე თვითნებურათ რევოლიუციის მონაპოვარის ფეხქვეშ გათელვას“!..

ეს წერილი მოვიყვანეთ ჩვენ თითქმის შეუმოკლებლათ. ის აშკარათ გვაჩვენებს, თუ რას აკეთებენ დაშნაკელები საქართველოში „ქართველი სომხების“ დასაცავად. არსებითად წერილის საპასუხოდ ჩვენ არაფერს ვიტყვით—დეე, თვით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა სომხებმა გასცენ პასუხი და აუხსნან დაშნაკცუტიუნს,—თუ რამდენათ მტარ-

,ვალობით, ანუ როგორც „აზხატავორი“ სწერს, ტირანიულათ ეპყრობიან მათ საქართველოში...

# ერობის არჩევნები ჯავახეთში

მუშტისა და მაუზერის პარტიის „დაშნაკცუტიუნს“ ყველგან ნიადაგი ეცლება. საქართველოში სომხის დემოკრატიამ დაშნაკელები თავისი წრიდან სრულიად განდევნა.

დაშნაკელებმა ჯავახეთის ახალქალაქი თავიანთ ერთად-ერთ ციხე—სიმაგრეთ გამოაცხადეს, მთელს თავიანთ ძალებს მოუყარეს თავი იქ, ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების დროს მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ბრძოლაში დამარცხდენ. მიუხედავათ ამისა, დაშნაკციუტიუნმა იმედი მაინც არ დაკარგა და ახალციხის სამაზრო ერობის არჩევნებშიც დამარცხებულმა დავითხანიანის პირით მუქარა მოგვაყარა: „მართალია, ახალციხის მაზრაში თქვენ ფეხები მოგვამტვრიეთ, მაგრამ, სამაგიეროთ, ახალქალაქში თავს მოგჭრითო“.

მოახლოვდა ახალქალაქის ერობის არჩევნებიც. „ყველა ჩვენს ძალებს მობილიზაცია უყავით“,—უთვლის ზორიანი ახალქალაქის დაშნაკელებს. მართლაც ეს მობილიზაცია საუცხოვოთ ჩაატარეს. გარდა ყველა ადგილობრივი ერის კაცებისა და ტერტერებისა არჩევნების ჩასატარებლათ მათ სასწრაფოთ გამოიწვიეს ერევნიდან ამხანაგები და ასე ზორი ზორიანის წინამძღოლობით არჩევნების გამარჯვების ლოზუნგათ გამოაცხადეს: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“.

დაშნაკელთათვის ახალქალაქი უკანასკნელი პოზიცია იყო; ამიტომაც დარაზმეს აუარებელი პროპაგანდისტები და საუკეთესო ცხენებზე შემსხდარნი არჩევნების დღეს დაჭროდნენ. თვით ზორი ზორიანმა იმ დღეს ჩამოუარა ბევრ საარჩევნო უბანს და ეწეოდა აგიტაციას ისეთის ხარისხისას, რომელიც არ შეეფერებოდა დამფუძნებელი კრების დეპუტატის ღირსებას, მაგრამ მის დემაგოგობას ყველგან შესაფერი პასუხით შეხვდნენ.

შარშან დამფ. კრების დამატებითი არჩევნების დროს დაშნაკელებს ხელს უწყობდა ერთი გარემოება, რაც მათ საშუალებას აძლევდა პროვოკაცია მოეწყოთ: „ინგლისელები გაჯავრდებიან, თუ ქართველებს მიეცით ხმა, თეთრ ფქვილს აღარ მოგვცემენ ამერიკელებიო და ბევრი სხვა.

წელსაც ასეთსავე ხერხს მიმართეს და დაუმატეს: თუ ახალქალაქში გავიმარჯვეთ, ახალქალაქის მაზრა და ბათუმის ნაწილი სომხეთს დარჩება. ყველა ეს ტყუილი მალე გამოაშკარავდა სომხის დემოკრატიის წინაშე. ინგლისმა სომხეთი მიატოვა, ამერიკა წავიდა, თეთრი ფქვილის დარიგება შესწყდა, ამან დაშნაკელებს გავლენა მთლათ დაუკარგა და სიამ, რომელშიაც მათ ყავდათ წამოყენებული უმთავრესათ ამერიკის კომიტეტში მოსამსახურე ფქვილის დამრიგებელი კანტროლიორები, გავლენა დაჰკარგა. ამას ადვილათ მიხვდნენ ისინი და მიმართეს მუქარას. სხვათა შორის, დააშინეს ერთი სომეხი, რომელიც ჩვენი თანამგრძნობი იყო და სიაშიც გვყავდა ხმოსნათ. უფრო წინათ ვიღაც ბოროტმოქმედებმა დააღრჩვეს ვინმე კათოლიკე სომეხი ელიოზოვი და ხმები გავრცელდა, რომ საქართველოს მომხრეთ ყველას ასე დაემართებაო. თუ თქვენ პირველ ნომერს მისცემთ ხმას, მთელს საქართველოს აქ გადმოასახლებენ და სომხებს კი გააძევებენო.

ეს ცოტაა. ყოველ საარჩევნო ყუთთან ჰქმნიდნენ ანარქიას, ყვიროდნენ, არჩევნების წესრიგს არღვევდნენ და როდესას მათს წარმომადგენლებს კომისიის თავმჯდომარე წესრიგისაკენ მოუწოდებდა, ისინი ვითომ და დიდათ შეურაცხოფილნი, არჩევნების გათავებას აღარ უცდიდნენ და გარბოდნენ.

ასე მოხდა ბარალეთში: დადგენილება იყო, რომ ყუთის გადატანა შეიძლებოდა, თუ კი ამას კომისია საჭიროთ დაინახავდა. ჯერ არჩევნები მოთავდა სოფელ ბულაშნიდან და მერენიიდან (სულ სომხებია), შემდეგ ბარალეთიდან (მცირე ნაწილია ქართველები). მხოლოდ ამის შემდეგ კომისიამ ყუთი კოთელიაში გადაიტანა, სადაც ყველა ქართველებია. ჯერ დასთანხმდნენ და შემდეგ, როცა ნახეს, რომ სულ პირველი ნომერი იმარჯვებდა, საღამოს 8 საათზე გაიქცნენ. ზოგ ადგილას მთელი სოფლიდან მოსულებს უკან ერეკებოდნენ იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს გამოეყენებიათ საბუთათ—უკანონო არჩევნები იყოვო. ეს ხდებოდა იქ, სადაც წინდაწინ ჩვენი გამარჯვება აუცილებელი იყო. ბევრ ადგილას ჩვენი ბიულეტენები გააქრეს, მაგრამ დროზე იქნა სამაგიეროთ მოტანილი. თითო ყუთთან მათი სამი და ოთხი წარმომადგენელი მოდიოდა. ზოგს მათგანს სულ არ ჰქონდა მანდატი. ზოგნი კიდევ სრულიად ცალიერი ქაღალდის ნახევებით მივიდნენ, რომელზედაც მათი სახელი და გვარი სრულიად არ იყო და არც ხელმოწერილი იყო; როცა მათ მოსთხოვეს ვინაობა და არ დაუშვეს, ამბობდენ-ჩვენი წარმომადგენლები არ იქნენ დაშვებულნიო.

საარჩევნო კომისიაში დაშნაკელებმა შემოიტანეს საჩივარი კარტიკამში და გულიკამში ჩვენი წარმომადგენლები არ დაუშვესო იმ დროს, როდესაც ჩვენ ხელში გვაქვს მათი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, რომ ისინი იყვნენ და არჩევნებში ბოლომდე მონაწილეობა მიიღეს. ასეთი ცილისწამება და ყალბი საბუთები სჭირდებოდათ იქ, სადაც ამრჩევლები ჩვენ გვაძლევდა ხმას.

ვერ დაასახელებენ დაშნაკელები ვერც ერთ ფაქტს იმის შესახებ, რომ მათი მანდატით მისული წარმომადგენელი ან არ დაეშვათ ან და ის გაეგდოთ იქიდან.

დაასახელონ თუნდ ერთი ფაქტი მილიციის ძალადობაზე და იმაზე, რომ მილიციონერები არიან კომისიის თავმჯდომარეებიო. აგრეთვე ჯარისკაცების ძალადობაზე და სხვა. ავრცელებენ აგრეთვე საზიზღარ ცილისწამებას, ვითომ ყუთები დაემტვრიოთ და ჩვენი ხმები ჩაეწყოთ. რომ ეს საზიზღარი სიცრუეა, ამას ამტკიცებს მათი ხელმოწერილი ოქმები, თითეული ყუთის სიმრთელის და ბეჭდის სინამდვილე.

ის გარემოება, რომ ზორი ზორიანმა აღარ დაუცადა ხმების დათვლას და გამოიქცა ბაკურიანის გზით და მეორე დღეს უკვე გაზეთებში დასწერა არჩევნების უკანონობაზე და ძალადობაზე, მისთვისაა სარწმუნო, ვისაც პირველი მომჩივანი მართალი ჰგონია. ასეთი ჩივილი დამნაშავეებს სჩვევიათ, ხოლო დამჯერე არავინ ეყოლებათ. აუცილებელი ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა დაშნაკელების უკანონო მოქმედების შესახებ; აღარას ვიტყვით იმ სასაცილო პარტიებზე, რომლებიც გამოვიდნენ მესამე ნომრით (იგივე დაშნაკელებია) ცნობილი დუხობორი ვირიგინით და მეორე ნომრით, რომელთა არსებობაც იმერლების და გადმოსახლების წინააღმდეგ პროპაგანდით დაიწყო და რომელთა არსებობაც სამარცხვინოთ გათავდა.

დეე, თავი ინუგეშოს დაშნაკციუტიუნმა იმით, თითქოს ახალქალაქში ჩვენ გავიმარჯვეთ ძალადობით, ყუთების დამტვრევით, მილიციით და ყოველგვარი უკანონობით. ასეთი ცილისწამება სასაცილოთ არ ეყოფა ჯავახეთის მცხოვრებთ საერთოდ და კერძოთ იქაურ სომხის დემოკრატიას, რომელმაც ჯერ კიდევ შარშან შეაქცია ზურგი დაშნაკელებს. „ჩვენ დღემდიო, სთქვა ერთმა სომეხმა, დაშნაკელებისაგან თვალებ დათხრილნი დედა-მიწის ყოველ კუთხეში საგლახათ დავდიოდით, ამ ხეტიალში ჩვენ გავწყდით და დავრჩით ერთი მუჭა განწირულნი სომხეთში და საქართველოში. ჩვენ ვცდილობთ ამ განწირულთა გადარჩენას საქ. სოც.-დემოკრატიის საშუალებითო“. ასე ფიქრობდა ჯავახეთის ხალხი და აი, ამან დაგამარცხათ თქვენ, ბ-ნნო დაშნაკელებო!..

**მოხეტიალე რაჭველი.**

# გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეები

1. ქოსაშვილი გაბრიელ, 2. ნეფარაძე, ალექსანდრე, 3. ოდიშარია თედორე, 4. კვარაცხელია ლუკა, 5. ჩიხლაძე ონისიმე, 6. ერეშვილი ვასილი, 7. პუხაევი, პუხაშვილი არჩილ, 8. ციპლუგინი—ღარიშვილი ივანე, 9. ბერკაშვილი სერგო, 10. მარგველაშვილი თედორე, 11. ნიკურაძე სიდორე, 12. ჩხეიძე ვარლამ, 13. კაკიშვილი თომა, 14. ტალიშაძე დავითი, 15. შაშაშვილი ზაქარია, 16. კინკლაძე ვასო, 17. კაპლაძე ლენტორ, 18. იობაშვილი დავითი, 19. გარაყანიძე ლევან, 20. ალადაშვილი იოსებ, 21. ზავიალოვი გიორგი, 22. ჩიხლაძე ალისიმე, 23. დათაშვილი თედორე, 24. კირვალიშვილი ილია, 25. კოზმავა არჩილი, 26. აბულოშვილი თედორე, 27. ბაგალიშვილი აბრამი, 28. ფარჩაშვილი სიმონ, 29. გორაძე ილია, 30. გიორგობიანი ანტონ, 31. შაშაშვილი გ., 32. ჭოჭუა გიორგი, 33. ებრალიძე აპალონ, 34. ხოსროშვილი გიორგი, 35. გაბუნია ილია, 36. ცერცვაძე კონსტანტინე, 37. ხაჩიძე ილია, 38. ნემსაძე ივანე, 39. გოგვაძე ალექსანდრე, 40. საგინიძე ნიკიფორე, 41. გურჯუკელაშვილი ალექსი, 42. ჯაჯაშვილი მოსე, 43. მამალაძე ალექსი, 44. გაგუა დავითი, 45. გაბეჩავა მიხეილი, 46. გობრონიძე იოსებ, 47. ტალიკაძე იონა, 48. გეგეშიძე ალექსი, 49. ბასილაშვილი იორდანე, 50. მეტრეველი დიანოსი, 51. ქებალაშვილი ტარას, 52. ძაძგიშვილი ალექსი, 53. გიგოლაშვილი ივანე, 54. მოდებაძე ი. (ილარიონი), 55. გოშლაშვილი ალექსანდრე, 56. საგინაშვილი ქრისტიანე, 57. ზედგინიძე ტიმოთე, 58. ქალაშოვი სავა, 59. ნანიკაშვილი იოსებ, 60. სუსტაშვილი ფილიპე, 61. ჯაფარიძე ილია, 62. დათიაშვილი სიმონ, 63. ბაიაშვილი კოტე, 64. ბატაშვილი მიხეილი, 65. დარჯანია ალექსანდრე, 66. ფხაკაძე სევერიანე, 67. დარჩიაშვილი ვანო, 68. სამხარაშვილი, 69. მაჯგალაძე, 70. გიგოლაძე, 71. გოროზია ალია.

ამათ გარდა ოციოდე ჩვენი მოქალაქე ჩეხო-სლოვაკიაში უნდა იყვნენ, მაგრამ რადგანაც ხსენებულ რესპუბლიკასა და გერმანიის შორის ჯერაც რეგულიარული მიმოსვლა არ დამყარებულა, მათი ვინაობისა და ადგილ სამყოფელის გაგება ჩვენმა გერმანიის მისიამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა.

ზემოაღნიშნული პირთა გერმანიის მისამართის მიღება შეიძლება რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებაში, რომელიც ღებულობს გერმანიაში ქართველ სამხედრო ტყვეთათვის გადასაგზავნ წერილებს, (თფილისი, ერმოლოვის ქ. № 9, საინფორმაციო განყოფილება.)

# მოხევეთა მდგომარეობა მარაბდაში

(წერილი რედაქ. მიმართ.)

ჩვენ, დუშეთის მაზრის ყაზბეგის რაიონიდან ახლად ჩამოსახლებულნი მარაბდაში განვიცდით უაღრეს გაჭირვებას ამ ორი წლის განმავლობაში, რადგანაც არ მოგვეპოვება არც ნახნავ-ნათესი, არც სოფლის მარჩენალი ხარ-კამეჩი და სამეურნეო იარაღები. წარსულ 1919 წელს სრულიად უხნავ-უთესი დავრჩით და 1920 წელს კი შემოდგომაზე ცოტა ადგილი სამეოთხედოდ თათრებს დავათესვინეთ, რადგანაც ჩვენ თესლი და საჭირო საქონელი არ მოგვეპოვებოდა. მართალია, მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებას პირადათ და თხოვნით რამდენჯერმე მივმართეთ, მაგრამ ჩვენი თხოვნა დარჩა ხმად მღაღადებლისა. ახლა კი რის ვაივაგლახით დავთესეთ ქერი და სიმინდი, რამაც ჩვენ, შრომის შვილებს, ბევრი იმედი ალგვიძრა მით უფრო, რომ მოსავალს კარგი პირი უჩნდა, მაგრამ მწარეთ მოვტყუილდით. ულმობელმა ბუნებამ არც ახლად ჩამოსახლებულნი და ჯერედ უსახლკარო და უსურსათო მოხევენი და არც ძველი მკვიდრნი შევიბრალა და ჩვენი ნაწვავ-ნადაგი მიწასთან გაასწორა დიდმა სეტყვამ და ნიაღვარმა, რომელიც თავს დაგვატყდა ივნისის 23-ს.

კვერცხის ოდენა სეტყვამ დაახლოებით გასტანა ნახევარი საათი ბ სხვათა შორის იმსხვერპლა სამი თათრის ბავშვი და რამდენიმე ასეული შინაური ფრინველი და ოთხფეხი საქონელი. ჩვენ ახლა ვსხედვართ გულხელდაკრეფილნი საბრალო მოხევეები და ვფიქრობთ, ვის მივმართოთ, ან ვის ვაუწყოთ ჩვენი ყოფნა-არყოფნის ამბავი.

ჩქარა ზაფხულის ღრუბლები გარდიკრიფება ფირუზი ციდან და მის ადგილს დაიჭერს მუხანათი ზამთრის ღრუბლები და ამ მწარე ფიქრებით მოცული ხალხი ამაოდ დასტირის თავის ბედს. აქამდის იმედით შევყურებდით მომავალს. ვფიქრობდით სახლებიც აგვეშენებია, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ამიტომ ვთხოვთ პირველ ყოვლისა მთავრობის თავმჯდომარეს და შემდეგ ყველა სახელმწიფო და საქველმოქმედო დაწესებულებებს, მიაქციონ სათანადო ყურადღება მარაბდაში ახლად ჩამოსახლებულ 50 კომლს მოხევეებსა და მათ არსებობას, შეჰხედონ ღმერთს და გაიხსენონ კრწანისის გმირები. ესენი სულ მთიულმოხევეთა და საერთოდ მთის ხალხისგან იყვნენ შემდგარნი. იქნება ამ ახლად ჩამოსახლებულებმაც აუარებელი შვილნი აღუზარდონ თავის საყვარელ წალკოტ სამშობლოს.

მარაბდაში ახლად ჩამოსახლებულ მოხევეთა რწმუნებული **ალ. ავსაჯანი.**

# ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 10 ივლისს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის სადგომში შესდგა მე-3 რაიონის ს.-დემ. მ. პარტიის 1-ლ იაჩეიკის წევრთა საზოგადო კრება; დაესწრო 30 წევრი. რადგანაც კრება მეორეხელ იყო მოწვეული, ამიტომ იგი კანონიერად იქნა ცნობილი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. მეგრელიშვილი, მდივნათ პ. რამიშვილი. საკითხი ეხებოდა ქვე-კოლექტივის არჩევნებს, ვინაიდან ექვსი თვე უკვე შეუსრულდა არსებულ ქვე-კოლექტივს. მიღებულ იქნა წინადადება: აირჩეს 7 კაცისაგან შემდგარი ქვე-კოლექტივი, რის შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ: ს. ორაგველიძე, პ. რამიშვილი, ლ. ბოცვაძე, ი. გაბჯაშვილი, კ. მელაძე, პ. კირეულიშვილი და ბ. მეგრელიშვილი.

**ს. ორაგველიძე.**

---

**თფილისი.** 15 ივლისს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. გიორგაძე. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ. რამდენიმე მუშებისაგან შემდგარ ჯგუფებს კომუნალურ საფუძველზე დაუმუშავებიათ მიწა და კარგი შედეგიც მიუღიათ. კრება სასურველათ სცნობს მიწების დამუშავებას მუშებისაგან შემდგარ კომუნების მიერ და აღუთქვამს მათ თავის მხრივ სათანადო დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ რომ კომუნები თავის მუშაობას კომერციულ ხასიათს არ მისცემენ... შემდეგი საკითხი—ნაძალადევის კლუბის მდგომარეობის შესახებ—გადაიდო მორაგ კრებისათვის. მუშების გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კრებამ მიიღო დადგენილება: რაც შეიძლება საჩქაროთ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურენი დაკმაყოფილებულნი ჯამაგირის მიმატებით ან ერთდროული დახმარების სახით. ცხარე კამათს იწვევს დემსწრეთა შორის ქურდობისათვის პარტიიდან გარიცხულ მუშების სამუშაოზე უკანვე მიღების საკითხი. ორატორები გულის წყრომით აღნიშნევენ, ჩვენი ამხანაგები სხვადასხვა ორგანიზაციებში მომუშავენი არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ასეთ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების პრინციპების შემბღალავ მოვლენებს. კრება ავალებს ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეების პროფესს. კავშირის გამგეობის ს.-დ. ფრაქციას აღძრას ხელახლათ საკითხი სადაც ჯერ არს, რომ ქურდობაში შენიშნული პირნი არას შემთხვევაში არ იქნენ დაშვებულნი უკანვე სამუშაოზე. შემდეგ კრება ადგენს მოწვეულ იქნას ნაძალადევის კლუბში საერთო პარტიული კრება ხუთშაბათს, 22 ივლისს, საღ. 6 ს., რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნ. რამიშვილი პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ. ბოლოს, თანახმად საგამომძიებლო კომისიის მოხსენებისა, კრებამ გარიცხა პარტიიდან შემდეგი პირნი: ვაშაკიძე თედორე იოსების ძე, ონანოვი ივანე დავითის ძე, ბაბენკო დიმიტრი ილარიონის ძე, მანკოვსკი მოსე თედორეს ძე, ბურბა ვლადიმერი ბუგენის ძე.

მდივანი **გ. ფოფხაძე.**

# მუშათა შორის

**სახლებში მუშა-მოსამსახურეთა კავშირი**

4. ივლისს შესდგა კავშირის წევრების საერთო კრება, კრებას დაესწრო 1000-მდე მეეზოვე და ხელზე მოსამსახურეები. კრებამ ბევრი იმსჯელა იმაზე, თუ რა ზომები იქნას მიღებული იმ სახლების მეპატრონეების წინააღმდეგ, რომელნიც არ ემორჩილებიან არა თუ კავშირის სამართლიან გადაწყვეტილებებს, არამედ—სატარიფო პალატის და ცენტრ. მომრიგებელ კამერის გადაწყვეტილებებს, ასეთები არიან დიდი სახლების მეპატრონეები, განთქმული მდიდრები: ბ. იუზბაშოვები პეტრე დიდის ქუჩა № 8.

სახლი მანთაშოვების, განოვის ქუჩა № 3, სახლი ბ. ზარაფიანცის, ვაზნესენსკის ქუჩა № 9 და სხვები. ესენი ნახევარი წლობით და წლობით არ აძლევენ მეეზოვეებს ხვედრ ჯამაგირებს, თუმცა შემოსავალი დიდი აქვთ. საერთო კრებამ დაადგინა: ყველა ასეთ სახლების პატრონებს გამოეცხადოს გაფიცვა. მეეზოვეების ადგილები გამოცხადდეს ბოიკოტის ქვეშ, სანამ სრულებით არ დააკმაყოფილებენ მეეზოვეებს.

ამის შესახებ ეცნობების ქალაქის შრომის ბირჟას, რომ ამ ადგილებზე არ გაგზავნოს მეეზოვეები, აგრეთვე ეცნობოს ყველა მუშათა კავშირებს პრესის საშუალებით და ეცნობოს უბნის კომისრებს იმ სახლების შესახებ, სადაც იქნება გაფიცვები გამოცხადებული, ამის სისრულეში მოყვანა კრებამ დაავალა გამგეობას.

14 ივლისს შესდგა გამგეობის კრება. გამგეობამ გადასწყვიტა 20 ივლისიდან 1920 წლიდან გამოუცხადოს გაფიცვა ბ. ზარაფიანცს, ამალღების ქ. № 9.

ადგილი მეეზოვესი ცხადდება ბოიკოტს ქვეშ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი პატიოსანი მშრომელი ამ ადგილზე არ დადგება.

აგრეთვე ვაცხადებთ ყველა მუშათა კავშირების და შრომის ბირჟის საყურადღებოთ—ამ ადგილზე არავინ გაიგზავნოს; კამისარს ვაცნობებთ, რომ 16 ივლისიდან აღნიშნულ სახლს მეზოვე არა ჰყავს.

**გამგეობა.**

---

**თფილისი.** 4 ივლისის „ერთობის“ 149 №-ში მოთავსებული იყო სიმართლეს მოკლებული წერილი არსენალის შესახებ პატარა კაცის ხელის მოწერით. წერილი სრულ სიყალბეზეა აგებული მხოლოდ იმ მიზნით, რომ არსებულ საქარხნო კომიტეტის შემადგენლობას სახელი გაუტეხოს და ჩირქი მოსცხოს, რადგანაც კომიტეტს ვადა გაუვიდა და ახლო ხანში ახალი არჩევნები უნდა მოხდეს. რადგანაც „პატარა კაცის“ წერილში საკმაო ბრალდებებია წამოყენებული კომიტეტის წინააღმდეგ, მე, როგორც კომიტეტის თავმჯდომარე, არ შემიძლია გავჩუმდე და ვიწვევ წერილის ავტორს „პატარა კაცს“ პარტიულ სასამართლოში (თუ ის ჩვენი პარტიის წევრია). თუ არა, დეე. აიხადოს ფარდა და გამომყვეს სამედიატორო სასამართლოში. სამედიატორო სასამართლო უნდა მოხდეს ერთი კვირის შემდეგ დღიდგან ამ წერილის გამოცხადებისა და განაჩენი გამოცხადდეს გაზეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე სრული უფლება მექნება ვუწოდო მას შესაფერი სახელი. ჩემის მხრით მედიატორეებათ ვასახელებ ო. ლაცაბიძეს და ვანო შუბაშვილს.

საოლქო არსენალის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ახალბედაშვილი.**

# პროვინცია

**დ. ბანძა.** ბანძა კულტურულად სხვა სოფლებზე წინ სდგას. ეს არის, როგორც ეკონომიური, ისე კულტურული ცენტრი მთელი დიდი რაიონისა; არსად არ არის იმდენი კულტურული დაწესებულებანი, როგორცაქ ბანძაში, მაგრამ ისინი უყურადღებოთ არიან დატოვებულნი. საზოგადოებას ჰქონდა თეატრისათვის საკუთარი სახლი: ყოველ ზაფხულობით იდგმება წარმოდგენები თეატრის სასარგებლოდ, მაგრამ თეატრის გამგეობის უმრავლესობა, როგორც სხვა კულტურულ დაწესებულებათა გამგეობანი, თეატრის ყოველგვარ მოთხოვნილებებს უყურადღებოდ სტოვებდა. წელს დიდმა თოვლმა ჩატეხა თეატრის სახურავი. ეხლა წარმოდგენები ცის ქვეშ იმართება.

ვის სასარგებლოდ არ გინდათ, რომ ბანძაში წარმოდგენა არ იმართებოდეს. არსებობს სამკითხველო. ეს სამკითხველო შედარებით მდიდარი იყო წიგნებით, მაგრამ დღეს ერთი მხოლოდ გერმანული ლექსიკონი და ორიოდე ბროშიურა ჟურნალების გარდა ყველა დაკარგულა. დღეს სამკითხველოს ახალი გამგეობა ჰყავს ბინაც მოუძებნიათ სამკითხველოსთვის, მორიგეობაც შემოუღიათ, მაგრამ მორიგეობა დიდი ხნის ვადით ყოვლად მოუხერხებელია, სხვა ღონისძიება უნდა იქნას გამოძებნილი

სამკითხველოში კვირაობით ფინჯანი ჩაი და სხვადასხვა სათამაშოები იმართება. ეს სასურველი არაა.

**სოფლის მოკეთე.**

---

**ბორჯომი.** 11 ივლისს ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწის ვ. დოლიძის ინიციატივით შესდგა სოფ. ჯობის-ხევში ორი სოფლის სოფ. ჯობის ხევის და ლარების მცხოვრებთა შეერთებული კრება. კრების მიზანი იყო: ყაჩაღების წინააღმდეგ ზომების მიღება. მოხსენებას აკეთებს ბორჯომის ერობის გამგეობის თავმჯდომარე კ. შახნაზაროვი; კრებამ დაადგინა: რადგანაც ამ მოკლე დროში ძალიან გახშირდა ყაჩაღობა ბორჯომის და აწყურის შუა გზაზედ და ეს კი არაა სასიამოვნო პარადათ ჩვენი სოფლებისთვის, როგორც ახლო მდებარე ამ გზებთან, მოვალე იყოს ყველა ჩვენგანი თვალ-ყური ადევნოს, და ფხიზლათ მოიქცეს, რომ ყაჩაღები არ ბუდობდნენ ჩვენს სოფლებში ვისთანმე; თუ ვინიცობაა ხალხმა აღმოაჩინა რომელიმე სოფელში ყაჩაღების ბუდე,—დაევალოს ერობის გამგეობას და უმაღლეს მთავრობას, სასტიკათ დაისაჯოს ის ყაჩაღი და ვის სახლშიაც ყაჩაღი აღმოჩნდება, იქნას სამუდამოთ მთელი ოჯახი გადასახლებული სანამ ეს მოეწყობოდეს, ახლავე იქნას დაარსებული სოფლის-ჭის ხევთან და დვირთან ახლოს მილიციის პოსტი, რომელიც შემდეგნაირათ უნდა შესდგეს: ერთი მილიციონერი ბორჯომიდან, ერთი აწყურიდან და თითო შეარაღებული კაცი ყველა სოფლიდან მორიგეობით. ტეხნიკურათ მოწყობა დაევალა ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწეს ვ. დოლიძეს და აწყურის რაიონის მილიციის უფროსს დადიანს.

**კ. დინჯაძე.**

# ჩვენი ფოსტა

**მესხეთი.** სოც.-დემ. კოლექტივს, მივიღეთ 5334 მან. გვაცნობეთ დანიშნულება.

**ქ. სენაკი. ქ. გვასალიას.** მივიღეთ 300 მან. გვაცნობეთ დანიშნულება.

---

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


# განცხადებანი

## დავკარგე

რკ. გზ. ბილეთი და სასურსათო ბარათი ვაცხადებ გაუქმებულათ. ივანე პეტროსოვი.

კუპ. 647.

---

13 ივლისს დაიკარგა ყმაწვილი

## აღაბეგ ეგანოვი

15—წლისაა. თუ ვინმემ რამე იცის, ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი ადრესით: პეტრე-პავლეს ქ. № 5. გალუსტ ეგანოვს. (2349—1—1)

---

## ი ყ ი დ ე ბ ა

## საკერავი მანქანა-ფეხი

**ზინგერის სისტემისა.**

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

---

**ყ. სრულ-უფლებიან ვიმნაზიის გამგე მათემატიკის**

## მასწავლებელი

**ი. მ. მაჩაიძე** იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს.

(2307 1—1

---

დ ო ქ ტ ო რ ი

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1790—თ.)

---

ე ქ ი მ ი

## კ. გ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამართველოს პირდაპირ.

(2264 —თ.)

---

ე ქ ი მ ი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 9 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

---

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

---

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი**

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

---

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

---

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.

1951—თ.

---

ე ქ ი მ ი

## გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

---

ე ქ ი მ ი

## გ. ი. ოყროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

---

ე ქ ი მ ი

## ხოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

---

ე ქ ი მ ი

## ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.

(უ. 25—3)

---

კვირას, 18 ივლისს 1920 წ. ნაშუადღევის 4 საათზე, ბათომის რკინის გზის დეპოს შენობაში დანიშნულია ბათომის ორგანიზაციის პარტიული

## საზოგადო ყრილობა

რასაც აუწყებს ამხანაგებს ბათომის კომიტეტი საქართველოს ს.-დ. მ. პ. დღიური წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) მოხსენება კომიტეტის მუშაობის შესახებ, 3) ანგარიშების განხილვა და დამტკიცება, 4) კომიტეტის არჩევნები.

(უ. 1—1)

---

## მეეტლეთა პროფ. კავშირის გამგეობა

ერთხელ კიდევ აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ „პასაჟირებმა“ წინდაწინ გაურიგდენ მეეტლეებს, რითაც თავიდან აცილებული იქნება უკმაყოფილება მგზავრებ-მეეტლეთა შორის, რაც ხშირი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, კავშირის გამგეობა ერთხელ კიდევ მოაგონებს საზოგადოებას და სთხოვს დაიცვას ზემოხსენებული განცხადება.

**გამგეობა.** (2289 2—2)

---

## სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს: სკოლებისთვის ინსტრუქტორს (ჯამაგირი თვეში 5000 მან. სასურსათო დახმარების მაგიერ 2000 მან. დღიურად მიეცემა 1/30-დი თვიური ჯამაგირისა). გამგეებს და მასწავლებლებს უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებისათვის; იწვევს აგრეთვე მასწავლებელთ პირველ დაწყებით სკოლებისათვის. უკანასკნელთ ეძლევათ ჯამაგირი თვეში 3480 მან.

ამასთანავე მოხსენებული ერობა 20 ივლისიდგან ამა წლისა აწყობს ქ. სიღნაღში ერთ-თვიან კურსებს მასწავლებელთათვის და აგრეთვე გარეშე პირთათვის, რომელთაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. მასწავლებლებს მიეცემათ დღეში 100 მანეთი. გარეშე პირთ უფასო ბინა.

(2337—2—2) **ერობის გამგეობა.**

---

## განცხადება

ბორჩალოს სამაზრო ერობაში არის თავისუფალი ადგილები ექიმების: სარვანის, ავრანლოს და გომარეთის სასოფლო ამბულატორიებში და თერთმეტი ექიმის თანაშემწის (ფერშლის) ადგილი საექიმო და საფერშლო პუნქტებზე ეკატერინოვკაში, ბაშკიჩეთში, ბარმაქსიზში, სარვანში, არუხლოში, კოჩაგანში, შულავერში, არჯევან-სარვანში და გომარეთში. მსურველებმა თხოვნასთან ერთად უნდა გამოგზავნონ ცნობები წინანდელ სამსახურზე, მოწმობები: განათლების, ადგილობრივ ენების ცოდნის და ქვეშევრდომობის, ან მათი შემოწმებული ასლები.

ერობაში მოსამსახურეები ღებულობენ სასურსათო განყოფილებიდან პირველ საჭიროების ზოგიერთ საგნებს იაფ ფასებში.

თვიური ჯამაგირი: ექიმების—10,000 მან., ექიმის თანაშემწეების (ფერშლების)—8,000

(ნ. 3—3) **ბორჩალოს სამაზრო საერობო გამგეობა**